საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 22 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ღირს 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი. მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 240 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 240

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

გულმოკლული მეუღლე ნოე გიორგის ძე ხომერიკი და შვილი ვიტია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ მათთვის დაუვიწყარის და საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სამშაბათს, 19 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე. დაკრძალვა შაბათს, 23 ოქტომბერს, ნაშუადღევის სამ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე, ბინაზე, ანასტასიას ქუჩა № 13.

ღრმად დამწუხრებული მამა ივანე, ძმა იასონ, და რძალი გოგუცა ნიკოლაიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ მათთვის საყვარლის და დაუვიწყარის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

დისწულები ელენე, ილიკო, სილვია, ანეტა, მარო, გაბრო და ქეთო ქიქოძეები და სიძე ვიქტორ მგალობლიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

ძმისწული ლოლა და სიძე დავით გიორგის ძე იოსელიანი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ საყვარელის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ქალთა ორგანიზაციის მეოთხე რაიონის კოლექტივი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის, ორგანიზაციის წევრის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

მეოთხე რაიონული კოლექტივი საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიისა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი პარტიული ამხანაგის

ანეტა ივანეს ასული ხომერიკის

უდროოდ გარდაცვალებას.

კატო და თედორე ქარცივაძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, მეგობრებს და ამხანაგებს უდროოდ გარდაცვალებას გულითადი მეგობრის და ნათესავის

ანეტა ივანეს ასულის ხომერიკისას

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 ს. (2—1)

ღრმათ დამწუხრებული და ზარდაცემული ქვრივი თამარა სამსონ ქუთათელაძის ასული ფალავასი, დედა თამარ მიხეილ შერვაშიძის ასული ფალავასი, მამა ნოე (კიწი) ივანეს ძე ფალავა, აღმზრდელ ბატუა ყარამან ფალავას ასული ფალავასა და ბაბუსია დადიანის ასული აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, დილით, 24 ოქტომბერს დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პოროჩიკის

ადრიანე (ჯვეგე) ნოეს ძის ფალავასი

შაურკარის წმინდა გიორგის ეკლესიაში სოფ. ზანძაში. (3416—1—1)

ღრმად დამწუხრებული სიძე ვარლამ ხუროძე და მეუღლე მისი ოლღა, შვილები: თინა, ადოლფი და ოთარი გლოვით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარეიშვილი

მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხაძის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

---

17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა კაპიტანი

გიორგი ნიკოლოზის ძე საღარეიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მარიამი, პატარა ვაჟი პეტიკო, ძმა ალექსანდრე, დები: ოლღა და ანიჩკა, დედა ნატალია, რძლები: ოლიმპიადა და მარიამი, ძმისშვილები: პარასკევა, გრიგოლი, და ილია. მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხაძის ეკლესიაში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მატა დიმიტრის ასული, შვილები: ექვთიმე, ლიდა, ბასილინე, მაშო და ტატიანა კანდელაკები, სიძეები: სერგო ხუჯაძე, ვასილ ძნელაძე, ალექსანდრე ბოლქვაძე, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს ძვირფასი

ანთიმოზ ექვთიმეს ძე კანდელაკის

გარდაცვალებას. ტირილი და გამოთხოვება დანიშნულია 23 ოქტომბერს დილით, შაბათს სოფ. აბაშაში წმ. გიორგის ეკლესიაში. (ფ. 1—1)

ნიკო ოქროპირის ძე ქუთათელაძე და შვილები ოლია და თამარა რუეცკისა გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, 13 ამა თვის დილით შაბათს დილის ათ საათზედ ქ. ხონში მაცხოვრის ეკლესიაზედ გადახდილ იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის მეუღლის ხოლო უკანასკნელი საყვარელის დედისა

პასიკოსი

(3421—1—1)

ლეონტი სიმონის ძე, ლიდა ალექსის ასული მესხები და შვილები აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ მათთვის მარად დაუვიწყარის და სათაყვანებლის შვილის

ნიკოლოზ (ნიკუშა) მესხის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის თავზე შაბათს, 23 ოქტომბერს, 3 საათზე, წმინდა ნინოს ეკლესიაზე გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. (3423—1—1)

დამწუხარებულნი, ნუგეშ დაკარგულნი დედა ნინო, ნიკოლოზის ასული, ძმები: იოსები და ბესარიონ პეტრეს ძენი ალექსანდრიები უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 25 ოქტომბერს 1920 წელს, დილის თერთმეტ საათზე, ადგილობრივ სასაფლაოზე, სოფ. ბიაში (ზუგდიდის მაზრა) გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის პირველის შვილის და უკანასკნელთა ძმის, დაუვიწყარის

ილარიონ (ბუხუტის) პეტრეს ძის ალექსანდრიას

ხსოვნის აღსანიშნავად. (ფ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, ოქტომბრის 23-ს

„ოიდიპოს მეფე“

კვირას, ოქტომბრის 24 ს

საღამოთი, წარმოდგენა მუშებისათვის

„გუშინდელნი“

შალვა დადიანისა.

ბილეთები კასაში. დასაწყისი სად. 7½ ნახ. საათზე.

(ნ. 1—1)

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

22 ოქტომბერს

მესამე ბალეტის საღამო

მიხ. მორდკინისა.

23 ოქტომბერს, ოპერა მუშებისათვის ფაუსტი, 24 ოქტომბერს ჰოფმანის ზღაპრები. დასაწყისი სრულ 7½ საათ. სად. ოპერის დირიჟორი ს. ი. ევლახიშვილი. (ნ. 1—1)

კვირას 24 ოქტომბერს ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს

სამაზრო კომიტეტის სხდომას

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2) პრეზიდიუმის მოხსენება. 3) ცეკას მოხსენება. 4) ორგანიზაციული მუშაობა მაზრაში. 5) კულტურული მუშაობა პარტიაში. 6) საწევრო გადასახადი. 7) მომავალი არჩევნების სამზადისი. 8) გარე უბნის თემის საკითხი. 9) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრები ვალდებულია აუცილებლათ დაესწროს. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. სამაზრო კომიტეტის ბინაზე („ერთობის“ რედაქციის შენობა. მეოთხე სართული). კომიტეტის პრეზიდიუმი.

(ნ. 5—4)

თფილისის მთავრობის კომერციული

სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ გაერთიანებულ (ქართულ) მე-V მე-VI კლასებში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის, თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებლის მისამართი: ჩუღურეთი, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. (3287 7—6)

ბათომის ქალაქის თვითმართველობა

სამსახურში იწვევს სამს უბნის

მომრიგებელ მოსამართლეს

თხოვნები და საბუთები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე. მოსამართლეებს საბჭო აირჩევს. (ნ. 1—1)

ორმხრივი ოპოზიცია

ამ დღეებში მომხდარმა ეკონომიურმა თათბირმა ძლიერ გამოაცოცხლა საზოგადოებრივი აზრი.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი რესპუბლიკის შინაური წესები და გარეშე ურთიერთობა. ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ ჩვენი ცხოვრების ყველა მტკივნეული ადგილების გაშინჯვამ, რომელიც მოხდა ეკონომიურ თათბირზე, საზოგადოებაში გამოიწვია ლაპარაკი ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური ხაზის შეცვლაზე. ძლიერი იერიშები მოაქვს სახელმწიფოს სათავეში ჩამდგარ პარტიაზე ორ უკიდურეს მიმართულებას: ერთის მხრით კომუნისტურს პარტიას, მეორეს მხრით—მემარჯვენე ლიბერალებს. უკიდურესობანი ერთმანეთს ხვდებიან, ნათქვამია. და ეს შეხვედრა, იდეური სოლიდარობა ეხლა არც ერთხელ არ გამოჩენილიყოს ისე თვალსაჩინოდ, როგორც დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა გაჭირვებამ მართლაც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო მთელი ხალხი და უკმაყოფილებისათვის წარმოშვა მრავალი საბუთები.

როგორც „მემარცხენენი“, ისე მემარჯვენენი, როგორც „კომუნისტი“, ისე „საქართველო“ ადგანან იმ რწმენას, რომ თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში არსებობს მხოლოდ ორი პოლიტიკური ხაზი: ბოლშევიზმი და ბურჟუაზიული ლიბერალიზმი („ბურჟუაზიული დემოკრატიზმი“ „საქართველოს“ ტერმინოლოგიით), კომუნიზმი და კერძო საკუთრებაზე აგებული საზოგადოების იდეოლოგია. სოციალიზმი, გვეუბნებიან ორივე მხრით, მხოლოდ კომუნიზმის სახით შეიძლება მოგვევლინოს. ის „საშუალო გზა“, რომელსაც მისდევენ მესამე ინტერნაციონალის მოწინააღმდეგე სოციალისტები (მათ შორის საქართველოს სათავეში მდგომი მენშევიკები), უნდა ამოიშალოს პოლიტიკიდან. მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს თანამედროვე ცხოვრებაში, იგი ან უნდა ბოლშევიზმის გზას დაადგეს და მე-3 ინტერნაციონალში შევიდეს, ან უნდა გაითქვიფოს ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში. „კომუნისტის“ აზრით, ეს საშუალო გზა სოციალიზმი „იმდენად საეჭვო ღირსებისაა, რომ მას ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით გაცილებით სჯობია აშკარა და მიუკიბ-მოუკიბავი ლიბერალიზმი“. თავის მხრით არც „საქართველოს“ უნდა ჩამორჩეს თავის ანტიპოდს, თითონაც ქათინაურს უძღვნის თავის „მემარცხენე“ მ პირდაპირს და აღიარებს, რომ მისი „პირდაპირობა“ სჯობია მენშევიკების „ორპირობასო“.

თვალი რომ გადავავლოთ სოციალიზმის ისტორიას, დავინახავთ, რომ მას აქეთ, რაც მასში სამეცნიერო, მარქსისტული ნაკადი შეიჭრა, სოციალისტების წინაშე მუდამ მდგარა საკითხი **ორის** თუ **სამის** გზის შესახებ. ან ბურჟუაზიული იდეოლოგია, ან დაუყონებლივ განხორციელება სოციალიზმისა და ამ მიზნით მოწყობა საყოველთაო გაფიცვებისა, შეიარაღებულ აჯანყებებისა, პარლამენტების და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა ყუმბარებით აფეთქებისა. ან ერთი, ან მეორე, მესამე შეუძლებელიაო, გაიძახოდნენ, როგორც „პირდაპირი მოქმედების“ მომხრე ანარქისტები, ისე ბურჟუაზიული სახელმწიფოს მესვეურნი. ორივე ბანაკის ამ შეუთანხმებელ სიმფონიის შუაგულში შეანათა მარქსიზმის სხივმა, რომელმაც ყველასათვის დასანახავი გახადა ორივეს ბუნება და ცხადჰყო, რომ, მიუხედავათ ერთმანეთს შორის ბრძოლისა, ეს ორი ბანაკი ერთნაირი ბუნებისაა, ერთი ძირითადი მსოფლმხედველობიდან არის წარმოდგენილი მათი პოლიტიკა: ბურჟუაზიული ლიბერალიზმი ღვიძლი ძმაა ანარქიზმის, და ანარქიზმი—ეს არის იგივე შეშინებული ლიბერალიზმი.

პირველი შეხედვით რა უნდა იყოს საერთო „საქართველოსა“ და „კომუნისტს“ შორის? მაგრამ რომ ჩავიხედოთ მათი იდეოლოგიის ბუნებაში, დავინახავთ, რომ ეს ერთი-მეორის მოპირდაპირე ნაკადი ერთი იდეური სათავიდან გამომდინარეობენ. კომუნისტების „მომხმარებელი სოციალიზმი“, რომელიც არსებული სიმდიდრის **დანაწილებაზეა** დამყარებული ისევე ინდივიდუალისტურ პრინციპზეა აგებული, როგორც მეშჩანური საზოგადოება, რომლის იდეოლოგიც „საქართველოა“. ამ მსოფლ-მხედველობიდან გამომდინარე ბოლშევიკური მეთოდის საბოლოო ნაყოფიც მხოლოდ წვრილ ბურჟუაზიული საზოგადოების განმტკიცება იქნება.

ორივე უკიდურესი ბანაკისათვის მხოლოდ ერთი რამ არის საჭირო: ის, რომ ჩვენი რესპუბლიკა როგორმე აცდეს იმ გზას, რომელზედაც იგი ასე მტკიცეთ დგას დღიდან თავისი არსებობისა. თუ დემოკრატიულმა საქართველომ გადაუხვია, ეს წარმოშობს ხალხის უკმაყოფილებას, არევ-დარევას, სამოქალაქო ომს, ანარქიას.

თუ იგი „მარცხნივ“—(კომუნისტებისაკენ) გადაიხრება, ამ გზით სიარულსაც ერთი ნაყოფი მოჰყვება. პირველ შემთხვევაშიაც და მეორეშიაც საქართველოს აცდება **დემოკრატიზმს**, ხალხის უმრავლესობის ხელმწიფებაზე დამყარებულს წყობილებას, და სწორედ ეს არის სურვილი როგორც ბურჟუაზიული უმცირესობის დიქტატურაზე მეოცნებე „საქართველოსი“, ისე წარმოებას ჩამოშორებული ყოფილ-მუშების ხიშტებზე დაყრდნობილი ბოლშევიკური დიქტატურის მოტრფიალე „კომუნისტის“. ორივე ბანაკი უმცირესობის **დიქტატურაზე** ოცნებობს და უმრავლესობის ხელმწიფების, დემოკრატიზმის დამხობის მოსურნეა. ერთი მათგანი **შეგნებულათ** ამყარებს ბურჟუაზიულს წყობილებას (მის წმინდა, მე-19 საუკუნის ევროპიული სახით) და **შეუგნებლათ** გვიმზადებს ანარქიას, სამოქალაქო ომს და საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას. მეორე კი, პირიქით, **შეგნებულად** იღვწის სამოქალაქო ომის გაჩაღებისათვის და საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობისათვის და შეუგნებლად ემსახურება რევოლუციის ადგილას ანარქიის გამეფებას, სოციალიზმის დასამარებას და მის ნანგრევებზე რეაქციის გაძლიერებას და ისევ იმ ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცებას. ერთია ამ ორი ბანაკის ბუნება, ერთია მათი მსოფლმხედველობა, ერთია მათი პოლიტიკის ნაყოფი და ერთია ის გაფთრება რომლითაც ისინი ებრძვიან საქართველოს დემოკრატიას.

„ახალი სხივი“

II

აღმასრულებელი და კონტროლიორი.

ორი პოლიტიკური, პრინციპიალურათ განსხვავებული ხაზი ვერ მოთავსდება ერთი პარტიის ფარგლებში. ყველა პარტიას უნდა ჰქონდეს ერთი პროგრამა, ერთი ტაქტიკა და ერთი ორგანიზაციული სისტემა. არ შეიძლება, რა თქმა უნდა, რომ ტაქტიკურ და ორგანიზაციულ კითხვებში უთანხმოებას არ ექნეს ადგილი. მაგრამ უთანხმოება დაარღვევს პარტიის მთლიანობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პროგრამის ძირითად პრინციპებს შეეხება. მაშინ აღარ მოხერხდება ერთად ყოფნა.

არის თუ არა ამის მსგავსი სხვა და სხვაობა ჩვენს პარტიაში? აქვს თუ არა „ახალ სხივს“ თავისი სისტემა, რომელიც ვერ უთანხმდება, მაგალითად „ერთობის“ სისტემას? უკანასკნელი ნომერი გვაძლევს პასუხს. იქ სწერია,—„ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური კურსი უვარგისია, დროის და გარემოების შეუფერებელია“.*) ეს აზრი გამოითქვა მისი წარმომადგენლების მხრივ ეკონომიურ თათბირზედაც.

თუ ასეა, რით ღა აიხსნება ცალკეობა და მერე სრულიად შეუფერებელი კილო, თითქოს მტრული განწყობილება ცენტრალურ ორგანოებთან? „ახალი სხივი“ ამავე ნომერში ამ კითხვაზედაც იძლევა პასუხს:—„ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, ამბობს გაზეთი,—რომ პარტიული ორგანიზაციები ფეხზე დადგნენ და შეებრძოლონ იმ საშინელ წინააღმდეგობას, რომელიც დუბუნებს სურვილებს და ცხოვრებას, პრაქტიკას შორის არის... მაგრამ ტრაგედია იმაშია, რომ... **ჩვენ ამას ვერ შევძლებთ მანამ, სანამ აღმასრულებელი იმავე დროს თავის კონტროლიორია**“. (ხაზი ჩვენია).

ერთი სიტყვით კარგი გეგმა, კარგი სისტემა გვაქვს, მაგრამ ცხოვრებაში ვერ ვატარებთ. გვიშლის გატარება, რადგან მთავრობის აგენტები და სათანადო ორგანოები კეთილსინდისიერათ ვერ ასრულებენ თავის მოვალეობას. ამ უბედურების მოსაშორებლათ „ახალი სხივის“ აზრით უნდა გაკეთდეს ერთი საქმე,—აღმასრულებელი არ უნდა იყოს იმავე დროს თავისი კონტროლიორი.

ეს ის კითხვაა, რომელიც იდგა უკანასკნელ პარტიულ ყრილობაზე. ეს არის შეთავსების საკითხი. „ახალი სხივი“, როგორც აქამდის, ისე ახლა ცდილობს პარტიის და სახელმწიფოს გამიჯვნას.

ერთხელ მე შემთხვევა მქონდა გამომეთქვა ჩემი აზრი ამის შესახებ. მინდა გავიმეორო, რომ პარტიის და სახელმწიფოს ერთმანეთში გათქვეფა არ შეიძლება. მაგრამ შეთავსება მაშინაც შესაძლებლათ მიმაჩნდა. გათქვეფა არ მოხდება მარტო იმის გამო, რომ სახელმწიფოს და პარტიის ხელმძღვანელ დაწესებულებებში ერთი და იგივე პირები იქნებიან.

დაუშვებელია ამისთანა შეთავსება, თუ პარტია ერთი კლასის წარმომადგენელია და სახელმწიფო მეორესი. შეუძლებელია ეს იმ შემთხვევაშიაც, როცა პარტია აწარმოებს, ვთქვათ, რევოლუციონურ პოლიტიკას და მთავრობა—ოპორტუნისტულს, ბურჟუაზიის ინტერესებთან შეგუებულს. სავსებით დასაშვებია კი, თუ ორივე მხარეს ერთნაირი კლასობრივი ბუნება აქვს, როცა ისინი არ გაირჩევიან ერთი-მეორისგან არც პროგრამით და არც ტაქტიკით.

ამისთანა მდგომარეობაა ჩვენში. ბოლშევიკებსაც მეტი ვერავინ ვერ იტყვის, რომ საქართველოს მთავრობა ბურჟუაზიას ემსახურება. თვისებით პარტია და სახელმწიფო ერთი და იგივეა. განსხვავება არის, ასე ვსთქვათ, რაოდენობრივი. პარტია გაირჩევა სახელმწიფოსაგან ისე, როგორც მთელი ნახევრისაგან. ერთ მიზანს ემსახურებიან, მაგრამ ერთს უფრო ფართო ასპარეზი აქვს, მეორეს უფრო ვიწრო. სახელმწიფო პარტიის იარაღია საბოლოო იდეალისთვის ბრძოლაში.

აქ თუ შეთავსება არ შეიძლება, შეუძლებელი იქნება სოციალ-დემოკრატიაც, შეუძლებელი იქნება სოციალიზმის და დემოკრატიზმის შეხამება. ვერ წარმოვიდგენთ, რომ სახელმწიფოს სათავეში მდგომი პარტია იყოს მხოლოდ სოციალისტური და თითონ სახელმწიფო მხოლოდ დემოკრატიული. მაშინ ან პარტიის სოციალიზმს არა ეცხება რა დემოკრატიის და ან სახელმწიფოს დემოკრატიზმს არა ექნება რა საერთო სოციალიზმთან.

ჩვენი პარტია არის აქაც და იქაც. ის არის აღმასრულებელიც და იმავე დროს თავისი კონტროლიორიც. მთავრობა აკეთებს მთელი ერის საქმეს და პასუხისმგებელია დამფუძნებელი კრების წინაშე. მაგრამ ერის უმეტესობას წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატია და მის გავლენას ფაქტიურად ექვემდებარება მთავრობაც. სოციალ დემოკრატია კონტროლიორია სოციალ-დემოკრატიის, ნაწილი ემორჩილება მთელს.

[illegible]

---

*) იხ. „სხივი“ № 25.

დღეს

ბოლშევიკების ცნობით დამოუკიდებლების კონგრესს ჰალეში გადაუწყვეტია მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთება.

19 ოქტომბერს თფილისში ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი საქართველოში შეინმანი.

გერმანული პრესა იუწყება, რომ ავსტრიაში მომხდარ არჩევნებს შედეგათ მთავრობის სრული შეცვლა მოჰყვება. ამ ჟამად იქ უძლიერესს პარტიას ქრისტიან სოციალისტთა პარტია წარმოადგენს.

ლოს მომავალი, რომ შესაძლებლათ მიგვეჩნია კარიკატიულათ წინამსვლელობა.

არა, „ახ. სხივს" ხელოვნურათ შემოაქვს პარტია—სახელმწიფოს და შეთავსების საკითხი. აქ არ მოინახება ჩვენი ოპოზიციის მთავარი ძარღვი. გაზეთმა უნდა გაგვაცნოს თავისი სისტემა სახელმწიფოს აშენებლობის საქმეში. თუ ის გვაჩვენა, როგორც აქამდის უჩვენებია, მის არსებობას დაეკარგება ყოველივე საფუძვლიანობის ნიშანი. მაშინ სულ სხვა რამეში უნდა მოიძებნებოდეს ცალკეობის სარჩული.

ს. დევდარიანი.

პრესა

ვრანგელი საქართველოს ნაპირებს თავს დაესხა და ჩვენს მხარეში შემოსული და განიარაღებული რაზმები წაიტაცა. ცხადია, ეს დარღვევაა ჩვენი სუვერენობის, ჩვენი ნეიტრალობის, ჩვენი სახელმწიფო ინტერესების. გაზ. „საქართველომ" ეს იცის, იცის ისიც, რომ ჩვენ გადმოსულთ და განიარაღებულთ წინდაწინვე ვაცნობეთ, რომ იგინი საბჭოთა რუსეთში იქნებიან გადაგზავნილი იმ პირობით, რომ საბჭოთა მთავრობა მათ სიცოცხლეს ვერ შეეხება. იცოდენ და მაინც გადმოვიდენ. ცხადია ამით ამ პირობას დაემორჩილენ.

მოტყუებით, დაპირებით ან სხვა გზით ჩვენ ისინი არ გადმოგვიყვანია.

ცხადია აქ ჩვენ მოვიქეცით, როგორც შეეფერებოდა საქართველოს ინტერესებს. მაგრამ ვრანგელი გაწყრა და იარაღი ააჟღარუნა. გაზ. „საქართველომაც" დრო იშოვნა და ისიც აჰყვა გულისწყრომას. იგი თავს ესხმის მოსკოვის ხელშეკრულებას, გვიწუნებს მოსკოვის მთავრობის ცნობას.

„მოსკოვის ხელშეკრულება ჩვენ გვითრევს რუსეთის სამოქალაქო ომში. მიუხედავათ იმისა, რომ პროცესი სამოქალაქო არევ-დარევისა რუსეთში ჯერაც არ დასრულებულა და კიდევ გამოუცნობია, რომელი ელემენტი გამოვა საბოლოოდ გამარჯვებული, ჩვენმა „სოც.-დემ." რუსეთად ოფიციალურად მიიღეს მოსკოვის საბჭოთა მთავრობა და ამ რიგათ წინააღმდეგობაში ჩაუდგნენ რუსეთში მომქმედ და მებრძოლ დანარჩენ ძალებს".

გაზეთი ფიქრობს, რომ ამით ჩვენ:

„წაგვერთვა სტიმული ნეიტრალიტეტის დაცვისა, რადგან არასოციალისტური და არაბოლშევიკური რუსეთი ბუნებრივათ ჩვენ მტერთა რიცხვში მოექცა" („საქ. № 127").

ჩვენ ვიცით, რომ არასოციალისტური რუსეთი აქამდეც ჩვენდამი მტრულ განწყობილებაში იყო. მათთან მხოლოდ გვქონდა ომი, ბლოკადა და არასოდეს მეგობრობა არ გვინახავს.

ცხადი ხელშეკრულობა ვერარაფერს შექმნიდა მეტს. მაგრამ „საქართველოს" უნდა სოც.-დემოკრატიული პოლიტიკა დაგმოს და ნამდვილად ამ დაუძინებელ მტრებს ამხილებს:

„საქართველოს მთავრობის მოქმედება საბუთს გაძლევთ საქართველოს მტრობისასო".

ასეთი გამართლების შემდეგ გაზეთს თითქო შერცხვენია თავის სივაგლახის და უმატებს:

„ვრანგელს მაინც არ ეპატიება თავდასხმა".

აი ულოგიკობის საუცხოვო ნიმუში. გასამართლებელი საბუთი აქვს თავდასხმის, მაგრამ მაინც არ ეპატიებაო.

ამაზე იტყვიან: „началъ за здравіе, кончилъ за упокой". („სადღეგრძელოთი დაიწყო და სულთათანათი დაასრულაო").

ამის შემდეგ გაზეთი ჩვენ გვიკიჟინებს ორპირობას. „ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო", სწორედ ამაზე ითქმის.

„საქართველომ" უნდა იცოდეს, დროა შეითვისოს ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ყოველ ქვეყანას—და მათ შორის რუსეთსაც, აქვს უფლება იყოლიოს ისეთი მთავრობა, როგორიც სურს. რუსეთს დღეს საბჭოთა მთავრობა ყავს და რატომ არ უნდა ვიცნოთ იგი?

თუ რუსეთის ხალხი მას მოიშორებს, ეს მისი ნებაა, ჩვენ კი ამ მხრივ მას არავითარ მხრით ძალას არ დავატანთ.

ამხ. ანეტა ხომერიკისა

19 ამ თვეს წუთის სოფელს გამოესალმა ამხ. ან. ხომერიკისა. ეს მოულოდნელი ამბავი უდიდესი მწუხარებით მოედება ამხანაგთა წრეებს. მარა ის კიდევ უფრო მეტ და მძიმე გლოვას გამოიწვევს იმ ამხანაგთა მცირე გუნდში, რომელიც ცხრაას სამი წლის დასაწყისში პირველათ გამოვიდა რევოლიუციონურ ასპარეზზე და რომელთა სახელებთან შეკავშირებულია გლეხების მოძრაობა გურიაში. ეს ის დრო იყო, როცა სოფლათ „არსაიდან ხმა, არსით ძახილი, იდგა სიჩუმე ვით მკვდართა ძალი". ეს ის დრო იყო, როცა მეფის აპრიჩნიკების მათრახი შეუბრალებლათ და დაუზოგველათ დასეირნობდა მთელ რუსეთის სივრცეზე და კიდევ უფრო თავისუფლათ ჩვენში; ეს ის დრო იყო, როცა ჩვენში რევოლიუციონერთა გუნდი მეტად მცირე იყო და ისიც რამდენიმე ქალაქში; ეს ის დრო იყო, როცა ასეთი მოღვაწეობა უდიდეს თავგანწირვას და გმირობას ითხოვდა; განსაკუთრებით დიდი რისკი იყო საქართველო სოფლათ მოძრაობის გამოსაწვევათ, თუ დასაწყებათ. როგორც ვიცით მოძრაობამ პირველათ თავი იჩინა გურიის ზოგიერთ სოფლებში. მოძრაობის ინიციატივა და ხელმძღვანელობა წილათ ხვდა ორიოდე პირს. ძნელი იყო მათი მდგომარეობა, განსაკუთრებით პირველ ხანებში. უდიდესი პასუხისმგებლობა, აუარებელი საქმეები, თანაგრძნობა და დახმარება კი უმნიშვნელო. და აი ასეთ დროს, როცა მამაკაცებშიაც კი სანთლით საძებარი იყო დამხმარე და თანამგრძნობი, სრულიად მოულოდნელათ ჯგუფთან მუშაობის სურვილი განაცხადა ამხ. ანეტა ხომერიკმა და პირველი დღიდანვე მუშაობაში ჩაება. ძნელია სანეკროლოგო წერილში ყოველივე იმის აღნუსხვა, რაც მას გადახდა რევოლიუციის ეკლიან გზაზე. ეს ერთად ერთი ქალი იყო იმ ხანებში მოძრაობის მონაწილე და აქტიური მომქმედი და მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა დაბრკოლებანი უნდა დაეძლია მას, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობანი შეესრულებია. ის მხნეთ და ენერგიულათ შეუდგა მუშაობას. განსაკუთრებით დიდი ფხა და უნარი გამოიჩინა მან პროკლამაციების გადატანა-გავრცელებაში, ამ მუშაობაში მას ვერავინ შეედრებოდა. ბევრი რამ მახსოვს მისი მოღვაწეობის ამ დარგიდან, მარა ამაზე როგორმე სხვა დროს.

გურიის მოძრაობას საშინელი რეპრესიები მოჰყვა. შეუძლებელი შეიქნა ადგილობრივ მუშაობის გაგრძელება. ყველა სოფლები ეგზეკუციამ დაიპყრა და ხალხი საშინელ მდგომარეობაში ჩააყენა. საჭირო იყო დროებით მაინც გურიის საზღვრების დატოვება, განსაკუთრებით იმათგან, ვისი ვინაობაც უკვე იცოდენ და ვისზედაც დღე და ღამ ნადირობდენ. გადაწყდა დროებით გურიის დატოვება და მუშაობის დაწყება იმერეთში. ჯგუფის წევრები გადმოსახლდა ქუთაისში, რომ აქედან დაეწყოთ იმერეთის სოფლებში მუშაობა. ამათთან ერთად წამოვიდა ამხანაგი ანეტაც და აქ კიდევ უფრო მეტ მონაწილეობას იღებდა ახალ ადგილებში მუშაობაში. იმერეთში მუშაობა გაცილებით უფრო ძნელი იყო, ვინემ გურიაში, მარა ამხანაგი ანეტა აქაც ისე შეუპოვრათ და ენერგიულათ განაგრძობდა მუშაობას და ათასგვარი სარისკო დავალების ასრულებას, როგორც გურიაში, რამდენიმე ხნის შემდეგ აქაც შეუძლებელი შეიქნა მუშაობა, ზოგი დაიჭირეს, ზოგი იძულებული იყო გადამალულიყო სხვა ადგილებში. ამხ. ანეტა გადმოსახლდა თფილისში. ცხრაას ხუთში, ჯერ კიდევ რევოლიუციის დაწყებამდე თფილისის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა დიდი, ღია მიტინგი. მიტინგს თავს დაესხა კაზაკები და სროლის დროს მძიმეთ დაიჭრა ამხ. ანეტა. ის იხსნეს კაზაკთა კლანჭებიდან და ოპერაციის შემდეგ ისევ მუშაობას დაუბრუნდა. მას შემდეგ ის მუდამ ახლო იდგა რევოლიუციონურ მოძრაობასთან და ამ მოძრაობაში მას ხელს ვერ უშლიდა ოჯახის მოვლა-პატრონობაც. ცხრაას ხუთის რევოლიუციას მოჰყვა უდიდესი რეაქცია. სხვებთან ერთად დააპატიმრეს და გადაასახლეს მისი განუყრელი თანამგზავრი და ქმარი ნ. ხომერიკი. ამხ. ანეტა ბავშვით საშინელ პირობებში, როგორც იქნა, საქართველოს საზღვრებიდან გავიდა და რამდენიმე წელი ვოლოგდის გუბერნიაში ქმართან ცხოვრობდა. ქმრის განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდა თფილისში და განაგრძობდა მოძრაობის დახმარებას და ხელის შეწყობას.

მოხდა უკანასკნელი რევოლიუცია და ის მონაწილე გახდა მრავალი საზოგადო დაწესებულებებში მუშაობის. მხნე და ენერგიული ის ჯერ კიდევ დიდხანს შესძლებდა თავის წვლილის შეტანას იმ უამრავ მუშაობაში, რომელსაც ეწევიან დღეს ჩვენი ამხანაგები, მარა „მუხთალ მა წუთის სოფელმა" არ დაინდო და ტრაგიკულათ დასრულა მისი სიცოცხლის ფურცელი.

გრ. ურატაძე.

საბჭოთა რუსეთში

შრომის ბეგარა საბჭოთა რუსეთში.

მუშების მასიურმა წასვლამ წარმოებიდან სოფელში და შრომის სხვა დარგებში, არა თავის სპეციალობაში გადასვლამ, შრომის დეზერტირობამ ბევრი ხელოსანი მუშის, ნორმალურ წარმოებით მუშაობის მაგიერ—სპეკულიაციის სფეროში მოღვაწეობამ იმ დროს, როდესაც ჩვენ მუშა ხელის მწვავე ნაკლებობას განვიცდით,—მწვავეთ დასვა საკითხი ცხოვრებაში შრომის ბეგრის გატარებისა, წარმოებებისათვის საჭირო სამუშაო ძალის უზრუნველყოფის და წინათ წარმოებაში მყოფი მუშების სოფლიდან წამოყვანის მეთოდის შესახებ.

„ეკონომიურ ცხოვრებაში" 23 სექტემბერს მოთავსებულ ქ. რაბინოვიჩის წერილიდან სჩანს, რომ ყოველივე ცდა—შრომის პროცესში ჩააბან ის მუშები, რომლებიც არ შრომობენ,—არ იძლეოდა სერიოზულ პრაქტიკულ შედეგებს. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ მუშათა მობილიზაცია შრომის ფრონტისათვის—ნაწილობრივ კერძო პროფესიონალურ ჯგუფებში ტარდებოდა, ამასთანავე არა საკმაოთ ფართოთ და უგეგმოთაც.

დიდ იმედებს ამყარებს ავტორი შრომის მობილიზაციაზე, რომელიც გამოცხადდა ამ წლის 3 სექტემბერს და რომელიც აღსანიშნავია იმით, რომ ის არის საერთო მასიური მობილიზაცია განსაზღვრულ წლოვანების ყველა პირებისა საბჭოთა რუსეთის მთელ ტერიტორიაზე. ის განსხვავდება აგრეთვე იმით, რომ იმას ანხორციელებს სამხედრო უწყება, ეს ერთად ერთი უწყება, რომელსაც ეხლა აქვს მოწყობილი სამობილიზაციო აპარატი.

ავტორის აზრით მხოლოდ შრომის იძულებითი მობილიზაციის, განხორციელებული სამხედრო უწყების აპარატის მიერ, შეუძლიან მოაგროვოს—მუშაობის შემძლე ელემენტები და შეავსოს საბჭოთა რუსეთის წარმოებების მუშების შემადგენლობა. მაგრამ გამოცხადებულ შრომის მობილიზაციის მნიშვნელობა რუსეთის დაავადმყოფებულ სამეურნეო აპარატისათვის მარტო იმისაგან კი არ არის დამოკიდებული, თუ რამდენათ შეაგროვებენ სოფლათ გაბნეულ მუშებს, შრომის დეზერტირებს, სპეკულიანტურ ბაზრის მონაწილეებს და სხვა, არამედ იმისაგანაც, თუ რამდენათ მიზანშეწონილათ და წესიერათ იქნებიან ამ მობილიზაციით წამოყვანილი მუშები განაწილებულნი და გამოყენებულნი წარმოების სასარგებლოთ.

ამჟამად, როგორც ამას ადასტურებს რაბინოვიჩი, მუშების ახალ სამუშაოზე გადაყვანას და ამავე დროს არუზრუნველყოფს მათი სანოვაგით, ბინებით, მუშაობის ნორმალური პირობებით, შედეგათ ჰქონდა მხოლოთ უარყოფითი მოვლენები და სახელდობრ: ტრანსპორტის ზედმეტი გადატვირთვა, რომელსაც უხდებოდა ერთ გზაზე მობილიზაციით წაყვანილების წაყვანა დანიშნულების ადგილზე და მეორე გზაზე კი გამოქცეულების უკან წამოყვანა მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მობილიზაციით წაყვანილებს მიეცემათ სასურსათო, საბინაო და სხ. ულუფა ისევე, როგორც დანარჩენ მუშებს—შესაძლებელი იქნება, ავტორის აზრით ის, რომ მობილიზაციით წაყვანილები გარდაიქცევიან ძვირფას საწარმოო ძალათ და გაამართლებენ მათზე მინდობილ საქმეს. მობილიზაციით წაყვანილების გამოყენების და მათი მიზანშეწონილათ განაწილების საკითხების გადაჭრა 13 სექტემბრის დეკრეტის ძალით მინდობილი აქვს ნარკომტრუდს და ეს შეადგენს მის მორიგ საქმეს. („ეკონომიური ცხოვრება", 23 სექტ.).

უკრაინაში.

დახვრეტა. „ჟიტომირის იზვესტიას" დახვრეტილთა პირველ სიაში ჩამოთვლილია მთელი რიგი პირებისა, რომლებსაც „რევტრიბუნალმა" მიუსაჯა დახვრეტა „საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღების გულისათვის". 28 კაციდან 12 პოლონელია და 9 უკრაინელი.

კამენეც-პოდოლსკში ბოლშევიკებმა დახვრიტეს 80 კაცზე მეტი უკრაინელები. ამათ რიცხვში ყოფილი დეპარტამენტის დირექტორი მათვეევსკი და კოტლიარენკო, არტისტი ორიოლი, სემინარიის რექტორი—ტაბენსკი, პროფ. ი. ბელეცკი, ს. ივანიცკი, პ. ბოგაცკი, სტ. გეევსკი, ისტორიკოსი სეცინსკი და სხვ.

ბუქარესტის უკრაინის პრესბიუროს ცნობით უკრაინის ჯარებს, რომლებმაც დაიჭირეს კამენეც-პოდოლსკი, სადგური და მდ. ზბრუჩზე ხიდები დანგრეული დახვდა, უნივერსიტეტი ნანგრევებათ ქცეული, ხოლო ქალაქის ბიბლიოთეკა და მუზეუმი განადგურებული. მუდმივ ჩხრეკას, დატუსაღებებს და დახვრეტას მე-14 არმიის იქ ყოფნის დროს, შედეგათ მოჰყვა მასიური ლტოლვა უკრაინის ინტელიგენციისა გარეშემო სოფლებისაკენ.

კამენეცში დარჩენილ უკრაინელებისაგან დატუსაღებული იყო მძევლებათ 164 კაცი და ყველა ისინი გაიგზავნა საბჭოთა რუსეთში. მძევლთა სია დაბეჭდილი იყო კამენეცის საბჭოთა გაზეთში; იმათ ბედის შესახებ აქამდის არავინ არაფერი იცის.

დამახასიათებელია ის, რომ ამ პროსკრიპციულ სიაში აღნიშნული პირნი, სრულიად აპოლიტიურათ მოაზროვნენი; ამათ შორის არიან კოოპერაციის მოღვაწენი, მასწავლებლები, აგრონომები, სამღვდელოება და სხ, ამათშივე მოჰყვა ორი რუსეთის მენშევიკი.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

გერმანული ცნობები

21 ოქტომბერი.

ოსტენდე გადაკეთდება უძლიერეს საზღვაო ბაზათ: ეს პირველი შედეგია საფრანგეთ-ბელგიის ფარულ სამხედრო ხელშეკრულებისა. ამისათვის საჭირო ფულისათვის მიმართავენ ბელგიის პალატას.

ზემო სილეზიაში.

დღეს შეკრებილმა რეიხსტაგმა მიიღო მოხსენება წერილობით აგვისტოსა და სექტემბერში ზემო სილეზიაში მომხდარ ამბების შესახებ. ამ წერილობით განცხადებას თანდართული აქვს საბუთები, რომელიც ადასტურებს ხმებს პოლონელების მიერ აგვისტოში სილეზიის ნეიტრალიტეტის დარღვევის, პოლონეთის ხრიკებისა და კატოვიცში მომხდარ არეულობის შესახებ. ამ საბუთებში მრავალი ცნობაა პოლონეთის მებრძოლ ორგანიზაციების შესახებ, შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია ყველა დანაშაული, რომელიც კი ამ ხნის განმავლობაში ზემო სილეზიაში იყო ჩადენილი.

ახლად გაკომუნისტებულ სოციალისტთა მოწოდება.

უკიდურესმა მემარცხენე სოციალისტებმა გამოუშვეს მოწოდება, სადაც მოითხოვენ კომუნისტების მებრძოლ ფრონტთან შეერთებას; ისინი არ სცნობენ ძველი პარტიის მარჯვენა ფრთას. გილფერდინგი, დიტმანი და კრისპიენი ეხლა იმავე დანაშაულობას ჩადიან პროლეტარიატის წინაშე, როგორიც ომის დროს ჩადიოდა სოც.-დემოკრატმა ებერტმა და მისმა მიმდევრებმაო. უკიდურესნი თავის-თავს უწოდებენ მემარცხენე დამოუკიდებელ სოციალისტურ პარტიას.

ავსტრიის არჩევნების შედეგი.

ავსტრიის არჩევნებს შედეგათ მთავრობის სრული შეცვლა მოჰყვება. ამ ჟამათ უძლიერეს პარტიას ქრისტიან სოციალისტთა პარტია წარმოადგენს. ხმის დიდი უმრავლესობა მოითხოვს რესპუბლიკის პრეზიდენტს, პარლამენტს და კანცლერის თანამდებობის დაწესებას.

„ვესტმინსტერ გაზეთი" ბეჭდავს წერილს, რომლითაც მოითხოვს უსამართლობის გამოსწორებას: იმ გერმანელების, რომელნიც ომამდის ინგლისში სცხოვრობდენ, როგორც ლოიალური მოქალაქენი და რომელთაც საკუთრება წაართვეს, დღეს ნება უნდა დაერთოს ისარგებლონ თავის საკუთრებით, თუ მათ წინააღმდეგ არავითარი ბრალდება არ არის წამოყენებული.

ნივთების მიცემა რურის მემაღაროებისათვის.

შრომისა და ეკონომიის სამინისტრომ გამოიწერა 83 მილიონი მარკა ფეხსაცმელების, ჩექმების და სხვა პირველი საჭიროების საგნების შესაძენათ, რომლებიც დაკლებულ ფასებში დაურიგდებათ რურის ოლქის მემაღაროებს, რომლებიც ზედ მეტ დროს მუშაობენ.

ზინოვიევი და ლოზოვსკი გერმანიაში.

ზინოვიევმა და ლოზოვსკიმ მიიღეს ნებართვა გერმანიაში 23 ოქტომბრამდე დარჩენისა, ვინაიდან რუსეთში გასამგზავრებლათ მათ გემი არა ყავთ. მათ თვალყურს ადევნებს პოლიცია და არ შეუძლიათ რაიმე პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობა მიიღონ.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

სამხედრო ცნობები.

ოქტ. 19. პოლოცკის და მინსკის რაიონში ჯარები რუსეთ-პოლონეთის სახელმწიფო საზღვრებს იკავებენ. სლუცკის აღმოსავლეთით პოლესიეს რაიონში მოპირდაპირე გვიტევს. მკაცრი ბრძოლები გრძელდება. სარნის მიმართულებით ბრძოლაა. დაბა ოლევსკის დასავლეთად ნოვგოროდ ვოლინსკის მიმართულებით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ დასავლეთის მიმართულებით შეტევას. შეპეტოვის მიმართულებით როგაჩევ-ზარინოვკის რაიონში ჩვენ აღვადგინეთ დაკარგული მდგომარეობა და განვაგრძობთ შეტევას ნიკოპოლ-ჩერტორია-ლიუბარის წინააღმდეგ. ლეტიჩევის და ლატინის რაიონებში ბრძოლა ხმელნიკის აღმოსავლეთით და ქალაქ ლიტინის ჩრდილო დასავლეთით სწარმოებს. ჟმერინკის დასავლეთით და მოგილიოვ პოდოლსკის რაიონში ჩვენთვის სასარგებლო ბრძოლები გრძელდება.

მე-3-ე ინტერნაციონალთან შეერთება.

გერმანიის დამოუკიდებელთა კრებაზე, რომელიც ჰალეში შესდგა, დიდი ხმის უმრავლესობით მიიღეს რეზოლიუცია მესამე ინტერნაციონალთან შეერთების შესახებ. დელეგატებსა და სხდომაზე მოსულ მუშებზე შთაბეჭდილება მოახდინა ზინოვიევის 2 [illegible] ტყვამ.

ვრანგელის სამეფოში.

სევასტოპოლში და იალტაში შიმშილია. მდიდრებიც კი მარტო ერთ ხელ სჭამენ საჭმელს დღეში.

ლიონის ცნობები

პოლონელებმა აიღეს მიროპოლი, ლიუბლინი, ტირასპოლი და ნოვო კონსტანტინოვი.

კონფლიქტი კარინტიაში. „დეპა" სწერს: ინციდენტი, რომელიც კარინტიაში პლებისციტის ზონაში მოხდა, უკვე დასრულდაო. ბელგრადიდან მოსულა დეპეშა, რომ სერბო-ხორვატიის და სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტრუმბიჩმა გასცა ბრძანება სამხრეთ სლავის იმ ჯარებისადმი, რომლებსაც კლაგენფურტის რაიონი დაიკავეს, რომ დასცალონ ეს ტერიტორია.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

ყველას, ვინც ამ ჟამად გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობას იკვლევს, გააკვირვებს გერმანული პრესის პესიმისტური ტონი. ლაპარაკობენ მუშაობის შეჩერებაზე. ვაჭრობა მრეწველობის კრიზისზე და სხვა. გერმანელი ჟურნალისტები მთელ დინამიურს მოკავშირეებს, და განსაკუთრებით, საფრანგეთს სდებენ. მაგრამ საკმარისია უფრო ახლო გავეცნოთ გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობას, რომ გავიგოთ: გერმანიას დიდძალი ქვანახშირი აქვს და მას არც ძალუძს მისი მოხმარებაც კი. მიუხედავათ ამისა გერმანიას არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად. რკინისა და საფეიქრო მრეწველობის კრიტიკული მდგომარეობა იწვევს ყველგან ქარხნების დახურვას, ან და კვირეში მათი მუშაობის 2—3 დღით შემოკლებას. გერმანიაში არ არის მუშის, არც ნედლი მასალის არც ქვანახშირის ნაკლულოვანება (დამახინჯებულია)... ეს იწვევს წარმოების შეჩერებას. არსებობს ორი მთავარი მიზეზი: მეტად მაღალი ფასები და გერმანიის მთავრობის ჩარევა კერძო საქმეებში. კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც სიძვირემ შექმნა, უფრო გაუარესა კომერსანტთა ცდამ, რომ ნედლი მასალის ფასები შეეცვალათ. აგრეთვე მათში არის ტენდენცია, რომ უცხოეთის ვაჭრებს საქონელში ომის წინად არსებულ ფასებზე მეტი არ მისცენ. მთავრობის ამ საქმეში ჩარევა მდგომარეობას თანდათან ამძიმებს. მთავრობას სურს თავის კონტროლს დაუმორჩილოს ყველა სავაჭრო-სამრეწველო საქმე და ნამეტურ კი უცხოეთის ფირმებისა, ამ სახით მთავრობამ შექმნა ბიუროკრატია და რთული წესები. გერმანია რომ კრიზისს განიცდის, ეს სრულებითაც არ არის გამოწვეული მხოლოდ ქვანახშირის უქონლობით. პირიქით სამხედრო ქარხნების შეჩერების შემდეგ გერმანიას კვლავ შეუძლია საპატიო ადგილი დაიკავოს ევროპისათვის ქვანახშირის მიწოდების საქმეში. კრიზისის მიზეზი მხოლოდ მისი უწორო ეკონომიური პოლიტიკაა. კრიზისს ისიც ქმნის, რომ გერმანიას არ უნდა ხელშეკრულების მუხლების შესრულება.

„პტი პარიზიენის" ცნობით საბერძნეთის ექს-კაროლს კონსტანტინეს განუცხადებია: რეგენტობას არ მივიღებ ახლა ჩემი გეგმები სავსებით ეთანხმება ჩემივე ხალხის აზრსო.

საქართველო და ქემალისტები.

სტამბოლიდან იუწყებიან, რომ ქემალისტებიდან საქართველოს საზღვრებს გადალახავს საქართველო მიიღებს, როგორც „კაზუს ბელის".

მეურნეობის განვითარება საფრანგეთში

პარლამენტის სხდომებზე დიდ ყურადღებას აპყრობენ მეურნეობის განვითარების საკითხს. განზრახულია ფართო

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

კანადა.

თანამედროვე კანადის პოლიტიკური წყობილება ემყარება ე. წ. „ჩრ. ამერიკის ბრიტანეთის აქტს" (კანადის უნიის აქტს), რომელიც დაამტკიცა ინგლისმა 1867 წ. კანადა ინგლისის მეტად დაწინაურებული კოლონიაა.

ეს აქტი კანადის კონსტიტუცია, რომელიც წააგავს ჩრ.-ამერიკის შ. შტატების კონსტიტუციას. კანადა შიგნით ფედერატიულად არის მოწყობილი. შეიცავს რამდენიმე ავტონომიურ პროვინციას, როგორიც მაგ. ონტარიო, (ზემო კანადა), კვებეკი (ქვემო კანადა), ახალი შოტლანდია და სხ. საერთო სახელია კანადა. ესენია ავტონომიები ავტონომიაში. კონსტიტუცია აღიარებს ახალი კოლონიის თუ პროვინციის მიღების უფლებას კანადის ფედერაციაში.

კანადის ფედერალურ მთავრობის სათავეში სდგას ინგლისის მთავრობის მიერ დანიშნული გენერალ-გუბერნატორი, ჯამაგირს მას აძლევს ფედერაციის მთავრობა. იგი ანსახიერებს მეტროპოლიის ხელმწიფებას კოლონიაში, წარმოადგენს ინგლისის მეფეს. იგი კანადაში თამაშობს კონსტიტუციური მეფის როლს. ამაზედაც ამბობენ ხოლმე მეფობს, მაგრამ არ მართავსო.

მართალია ფორმალურათ გენერალ-გუბერნატორი მთავრობის თავია, მაგრამ ნამდვილათ ყველაფერში უგონებს და ეთანხმება მინისტრებს, რომელნიც პასუხისმგებლები არიან კანადის ფედერალურ პარლამენტის წინაშე. ინგლისის მეფეს ეკუთვნის მთელ შეიარაღებულ ძალთა ბრძანებლობა.

კანონს ადასტურებს გენერალ-გუბერნატორი. მას ვეტო აქვს. შეუძლიან ზოგიერთი კანონი, მიღებული ფედერალურ პარლამენტის მიერ, გაუგზავნოს ინგლისის მეფეს დასადასტურებლად.

კანადის პარლამენტი ორი პალატისაგან შესდგება—სენატისა და თემთა პალატისაგან.

სენატი შესდგება 72 წევრისაგან. ეს რიცხვი განაწილებულია პროვინციათა შორის. სენატორებს ნიშნავს გ.-გუბერნატორი სამინისტროს რჩევით და წინადადებით. სენატორთა რიცხვი 78-ზე მეტი არ შეიძლება იქნეს. თემთა პალატის წევრებს ირჩევს ხუთი წლით კანადის ფედერაციის ყველა სრულ-წლოვანი მოქალაქე (ქალების გამოკლებით). 181 წევრი ითვლება პალატაში. პალატას იწვევს გენ.-გუბერნატორი. საარჩევნო ოლქები. პროვინციათა წარმომადგენლობის პროპორცია ყოველთვის დაცული უნდა იქნეს.

პარლამენტის წევრები ღებულობენ გასამრჯელოს და საგზაოს. ფაქტიურად და უფლებრივად სენატი და პალატა ავტორიტეტითა და უფლებით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ყოველი ფინანსიური კანონპროექტი უნდა გამოდიოდეს მხოლოდ თემთა პალატიდან. სენატს არა აქვს შესწორების და დამატების უფლება.

ფედერალური პარლამენტის უფლებაში შედის სისხლი, სავაჭრო პოლიტიკა, საერთო გადასახადი, საბანკო საქმე, სისხლის და სამოქალაქო სამართალი, მიწათმოქმედება და სხ. საყურადღებო ისაა, რომ საზოგადოდ კანადის ფედერალური ხელისუფლება, დასის თქმით, საერთოდ არაა განსაზღვრული და შეზღუდული. შემადგენელ პროვინციების ავტონომიურ ხელისუფლება კი განსაზღვრულია და ძალიან შეზღუდული. კანადის პარლამენტი კანონმდებლობს **ყველა საკითხის** შესახებ, გარდა იმ საკითხებისა, რომელიც **პირდაპირ ჩამოთვლილი გადაცემულია** პროვინციალურ კანონმდებლობისათვის.

ყოველ პროვინციას ყავს თავისი გუბერნატორი, რომელსაც ნიშნავს გენერალ-გუბერნატორი 5 წლით, ადგილობრივ მცხოვრებთაგან. მასთან არის აღმასრულებელი საბჭო სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია პროვინციის პარლამენტის წინაშე. უმეტეს შემთხვევაში პროვინციებში ერთპალატიანი პარლამენტია.

თავისუფლება და უფლება მოქალაქისა სრულიად უზრუნველყოფილია.

კონსტიტუციის შეცვლაზე პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ცხადია, რომ შეცვლა შესაძლებელია კანონმდებლობითი გზით და ინგლისის თანხმობით. პროვინციების შესახებ კონსტიტუცია ამბობს, რომ მათ შეუძლიათ გადაშინჯონ კონსტიტუციები, ვერ შეეხებიან მხოლოდ გუბერნატორის თანამდებობის დებულებასა. ცხადია ეს უნდა მოხდეს ფედერალური პარლამენტის თანხმობით და დასტურით.

მეტად განვითარებულია ადგილობრივი თვითმართველობა. იგი უაღრესად დემოკრატიულია.

კანადა მდიდარია ბუნებრივი სიმდიდრით და ხალხის შრომის მოყვარეობით. მართალია ინგლისის მონარქიის ფრთის ქვეშ ითვლება და კონსტიტუციაშიაც ბევრი არა დემოკრატიული ელემენტია შეტანილი,—მაგრამ ფაქტიურათ და პოლიტიკურათ უდიდეს თავისუფლებით სარგებლობს და ნამდვილათ წარმოადგენს **ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც თვითონ კიდევ პატარა თვითმართველ დემოკრატიულ რესპუბლიკებისაგან შესდგება.**

ავსტრალია

ავსტრალია დღეს ერთი განუყოფელი **ფედერალური კავშირია**, რომელიც წარმოადგენს ინგლისის მოწინავე კოლონიას. მისი ფედერალური კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1901 წ. 1 იანვარს. ავსტრალიის კავშირის შემადგენელი ერთეულებია **ავტონომიური შტატები.**

საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის **ფედერალურ პარლამენტს**, რომელიც შესდგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. პარლამენტის შემადგენელ ნაწილად სთვლიან ინგლისის მეფესაც, რომელსაც ავსტრალიაში ყავს გენერალ-გუბერნატორი, მის მიერ დანიშნული, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების გამომხატველი ფედერაციაში. ავსტრალია იძლევა ჯამაგირს გენერალ-გუბერნატორისთვის. უკანასკნელის უფლებაა—მოიწვიოს პარლამენტის სესია, გადადოს მისი სხდომები, დაითხოვოს წარმომადგენელთა პალატა და სხ.

სენატორებს ირჩევს პირდაპირ ხალხი, განურჩევლად სქესისა, ექვსი წლის ვადით. თვითეული შტატიდან ექვსი სენატორი. არასოდეს არ უნდა დაირღვეს შტატთა თანასწორი წარმომადგენლობა.

წარმომადგენელთა პალატას ირჩევს პირდაპირ ხალხი, განურჩევლად სქესისა. შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს პალატის წევრთა რაოდენობა. მაგრამ თვითეულ შტატზე ხუთ დეპუტატზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს. მცხოვრებთა პროპორციული რაოდენობა დაცულია. პალატა 3 წლითაა. არჩევნები საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარულია.

სენატორი და დეპუტატი ფიცს თუ აღთქმას სდებენ, შეუთავსებლობა სრულიად გამონაკლისს. შეადგენენ მინისტრები. შეუვალობაა. გასამრჯელოს იღებენ. წარმოთქმული სიტყვისა და ხმის მიცემისათვის პასუხს არ აგებენ.

პარლამენტის მოვალეობა და უფლება ძალიან ფართოა. მეტროპოლია განაგებს მხოლოდ ზოგად საქმეს. ავსტრალიის ფედერაციას ჯარი ჰყავს საკუთარი. ფინანსიური კანონპროექტი პალატაში შეიტანება პირველად. სენატს უფლება არა აქვს ცვლილების შეტანისა. სხვაფერ სენატი და პალატა თანასწორნი არიან. როცა ორივე პალატაში გავა კანონი, მას ამტკიცებს ინგლისის მეფის სახელით გენერალ-გუბერნატორი. მას შეუძლიან შესასწორებლად დაუბრუნოს პარლამენტს კანონი. მეფეს შეუძლიან არ მოიწონოს უკვე მიღებული კანონი ერთი წლის განმავლობაში.

გენერალ-გუბერნატორი ანხორციელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას მინისტრების საბჭოს საშუალებით, რომელიც პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. ფაქტიურად აქ სამინისტროს ხელშია მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება.

არის უმაღლესი ფედერალური სასამართლო. ყურადღებით არის განხილული კონსტიტუციაში საფინანსო და სავაჭრო საკითხები.

შემადგენელი შტატები ცხოვრობენ თავის საკუთარი კონსტიტუციის თანახმად. არ უნდა შეილახოს ფედერალური კონსტიტუციის საზღვრები. ყველგან შტატებში დემოკრატიული წყობილება სუფევს. შეიძლება ახალი შტატის მიღება კავშირში.

სარწმუნოების თავისუფლების მხრით ავსტრალიის ფედერაცია სამაგალითო ქვეყანაა. არის სრული უფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, კავშირისა, რწმენისა.

კონსტიტუციის გადასინჯვის წინადადება უნდა მიიღოს პარლამენტმა ხმის აბსოლიუტური უმრავლესობით. ეს წინადადება — კანონ-პროექტი გადაეცემა პირდაპირ კენჭის საყრელად ხალხს. გადაწყვეტის დასადასტურებლად საჭიროა **ორმაგი რეფერენდუმი**: შტატების უმრავლესობა და მთელი ფედერაციის ხალხის უმრავლესობა (შვეიცარიული სისტემა).

აქ იგივე ითქმის, რაც კანადაზე ითქვა. მიუხედავად თავის ფორმალური დამოკიდებულებისა ინგლისიდან, ავსტრალია თითქმის დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კოლონიაა, ის უაღრესად დემოკრატიული ქვეყანაა. ქალებს პოლიტიკური უფლება მოპოვებული აქვთ. ავსტრალია **არსებითად დემოკრატიული რესპუბლიკაა.**

მუშათა პარტია უდიდესი ფაქტორია მთელი სახელმწიფოს ცხოვრების. დღეს თავის მოღვაწეობით ევოლიუციონური პარტიაა.

ნ. საქარელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგიტაცია გასწიონ მეურნეობით ხალხის დასაინტერესებლად. ბიუროსა და ადმინისტრაციასთან ერთად მეურნეობის განვითარებაზე იზრუნებს მიწად მოქმედთა ასოციაციაც. მოქმედების გასაერთიანებლად შექმნეს მიწად მოქმედთა ეროვნული კორპორაცია. ამ კავშირში ომამდე რამოდენიმე ათასი ორგანიზაცია შედიოდა. ამ ჟამად ორგანიზაციათა რიცხვი თანდათან იზრდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ყირიმის ცნობები.

სევასტოპოლი. ოქტ. 16. ოფიციალური ცნობა. ტავრიის ჩრდილოეთ ელმოსავლეთით მდგომარეობა არ შეცვლილა. დნეპრზე მოწინავე რაზმები მოქმედობენ. უკანასკნელ ბრძოლაში პოლოგის მიმართულებით ტყვედ ვიგდეთ 2000 წითელი. 73, 74, 75, 76 და 77 პოლკებმა და 9 და 12 საბჭოთა დივიზიებმა დიდი ზარალი ნახეს.

იტალია და საბჭოთა რუსეთი.

ლონდონი. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: იტალიასა და საბჭოთა რუსეთს შორის გაცხოველებული სავაჭრო დამოკიდებულება არის გაჩაღებული. პურის გარდა საბჭოთა რუსეთიდან იტალიამ 2000 ფ. სპილენძი გამოიტანა. ნეაპოლში რუსეთის ნავთს მოელიან. იტალიის სამრეწველო წრეები და მთავრობა მოითხოვს, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებმა იტალიაში დახარჯონ მანქანებისა და მანუფაქტურის შესაძენათ ის თანხა, რომელიც მათ იტალიიდან ერგებათ. გაზეთები იუწყებიან, რომ ამ განზრახვის წინააღმდეგ წასვლას აპირებს საფრანგეთი, რომელიც ფიქრობს დაიკავოს ის ფული, რომელიც რუსეთმა უნდა მიიღოს. ეს მით უმეტეს უნდა მოხდეს, რადგანაც რუსეთის ნავთი მეტ წილად უცხოელ კაპიტალისტთა ფირმებს ეკუთვნისო. საერთოდ ევროპაში აღძრულია საკითხი საბჭოთა რუსეთის სავაჭრო ოპერაციების წარმოების კანონიერების შესახებ.

შრომის ნაყოფიერება დაეცა.

მოსკოვის „ეკონომიური ცხოვრება" იუწყება ვოლგის ფლოტის კატასტროფიულ მდგომარეობის შესახებ. მუშათა სიმცირისა და სურსათის უქონლობის გამო შრომის ნაყოფიერება დაეცა.

ნავთის გაზიდვა.

სექტემბრის პირველ ნახევარში ბაქოდან გატანილია 12,333,000 ფუთი ნავთის პროდუქტი.

რა უნდა იქნეს რუსეთში შეტანილი.

„პროდოვოლსტვიე"-ს სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა საქონლის იმპორტის გეგმა. კომისარიატის ანგარიშით რუსეთში უნდა იქნეს შემოტანილი სხვა და სხვა საქონელი 91 მილიონი მანეთისა (მშვიდობიანობის დროის ფასით). საგარეო ვაჭრობის საბჭო ეს რიცხვი შეამცირა 44 მილიონამდე. (ძველი დროის ღირებულებით) ნება დართულია შემოტანა 1 მილ. ფუთი ბრინჯის, 50,000 ფუთი კაკაოსი, 57,000 ფ. დაფნის ფოთლისა, პილპილისა და 1,000 ფ. სახარინისა.

სასჯელი.

მოსკოვი. „იზვესტია"-ს ცნობით დონის როსტოვში დასრულდა პოლკოვნიკ ნაზაროვის სადესანტო რაზმის საქმის გარჩევა. საბჭ. რევ. სასამართლომ ისინი ჩასთვალა არა სამხედრო ტყვეებად, არამედ შეგნებულ პროვოკატორებად და ბანდიტებად, რომელთა მიზანიც საბჭოთა რუსეთის დანგრევა იყო. დამნაშავეთაგან 20 სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და 142 კი სავალდებულო მუშაობა რუსეთის ერთ-ერთ ჩრდილოეთ გუბერნიაში სამოქალაქო ომის დაბოლოვებამდე.

მოლაპარაკება საბოლოოდ შეწყვეტილია.

ლონდონი. ინგლისის პრესა გადმოგვცემს: ლოიდ ჯორჯმა კამენევს რუსეთში წასვლის წინ განუცხადა: საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის პოლიტიკურ საქმეებზე მოლაპარაკება საბოლოოდ შეწყვეტილიაო. „ეკონომიური ცხოვრების" ცნობით ეკონ. მოლაპარაკება მაინც გრძელდება.

საფეიქრო მრეწველობის შემცირება.

ნიუ-იორკი. პრესა იუწყება ამერიკის საფეიქრო მრეწველობის შემცირების შესახებ. იანვარში ამუშავებდნენ 72. 7 მილიონ ინგლ. გირვანქა მატყლს, ივნისში კი 46. ამ საქონლის დამუშავების შემცირება დაკვეთათა სიმცირის გამო დაიწყო, ზოგმა ქარხანამ კი სრულიად შესწყვიტა მუშაობა. შემდეგ თვეებში მდგომარეობა თანდათან გაუარესდა.

შაქრის მრეწველობის დაცემა.

მოსკოვი. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ს მოყავს ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენათ დაეცა რუსეთში შაქრის მრეწველობა. ველიკოროსია, რომელმაც 1915 წელში 20 მილ. ფუთზე მეტი შაქარი დაამზადა, 1919 წელში მხოლოდ 600,000 ფუთის დამზადება შესძლო. უკრაინამ 1915 წ. 71 მილიონზე მეტი დაამზადა, 1919 წელში კი 100,000 ფუთი.

სომხეთში

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ოგანჯანიანმა საბჭოთა რუსეთის გარეშე საქმეთა კომისარს ჩიჩერინს პროტესტი განუცხადა საბჭოთა რუსეთიდან ოსმალეთის ნაციონალისტებისათვის იარაღის გაგზავნის გამო.

ახალი ამბები

◆ **საბჭოთა რუსეთის ახალი წარმომადგენლის ჩამოსვლა.** ოქტ. 19 ბაქოდან ჩამოვიდა საქართველოს მთავრობასთან დანიშნული საბჭოთა რუსეთის სრულ უფლებიანი წარმომადგენელი შეინმანი. შეინმანს შეხვდნენ გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ნ. ქარცივაძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. ოდიშელიძე და სხვები. მატარებლის ჩამოსვლის დროს ბაქანზე საპატიო ყარაული იყო გამწკრივებული.

◆ **ავათმყოფობა ბათომში** 8 ოქტ. ჯირკვლებიანი ტ-რით ავათ ყოფილა 21 კაცი, მას შემდეგ ავად გამხდარა კიდევ 3 კაცი, მორჩენილა 6, 15 ოქტ. ავად ყოფილა 18 კაცი. თფილისში ოქტომბრის 8 ხოლერით ავათ ყოფილა 5 კაცი, ავად გამხდარა კიდევ 1 კაცი, მორჩენილა 2, მომკვდარა 1, საავათმყოფოში ირიცხება 3.

◆ **მბეჭდავთა კავშირში.** მბეჭდავთა კავშირის გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ მუშა მბეჭდავთა ნაკლულოვანობის გამო ზედმეტმა მუშაობამ სტამბებში მუდმივი ხასიათი მიიღო, შემდეგი დადგენილება გამოიტანა: თანახმად შრომის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მეორე შენიშვნისა, სრული შტატის უყოლობის გამო ზედმეტი ნამუშევარი ორკეცად იქნეს გადახდილი. ასეთივე ქირა ეძლევათ შვებულებაში მყოფ ამხანაგის სამუშევარის შესრულებაში, თუ შვებულებაში წასულის მაგიერ არავინ მუშაობს.

◆ **შაქრის ფასის დაწევა.** ბათომიდან ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში მოსულ ცნობების თანახმად ბათომის ბაზარზე შაქრის ფასებს ძლიერ დაუწევია: ბათომში მოტანილ 1 ტონა შაქრის ფასმა 125 გირვანქა სტერლინგიდან 105 სტერლინგამდი დაიწია.

◆ **ხორცის მომარაგება.** ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება მცხოვრებთათვის იაფფასიან ხორცის მიწოდების მიზნით დიდძალ შინაურ საქონელს ყიდულობს. სასურსათო განყოფილება სთხოვს იმ პირთ, რომელთაც შეუძლიათ მას საქონელი მიაწოდონ, მიმართონ სასურსათო განყოფილების კანცელარიას დილის 8—10, საათამდე, ანდა გრაფის ქუჩაზე არსებულ „ხორცის" ამხანაგობის კანტორას.

◆ **გადასახადი წყალზე** ქალაქის წყალსადენის სამმართველომ შეიმუშავა პროექტი მცხოვრებთაგან წყლის ფასის გადახდევინების შესახებ. პროექტის მიხედვით ყოველ რაიონს დანიშნული ექნება განსაზღვრული დღე წყლის ფასის შეტანისა და ამგვარად იქნება განსაკუთრებულ უწყების გაგზავნა სახლის მეპატრონეთათვის. ეს პროექტი განსახილველად წარედგინა ქალაქის თვითმართველობას.

◆ **ტერმინოლოგიის შემუშავების გარშემო.** საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობა სთხოვს დაწესებულებებს და კერძო პირთ მიაწოდონ მათთვის საჭირო, მხოლოდ ტექნიკურ ლექსიკონში, გამოტოვებულ ტერმინთა სია შემდეგი მისამართით: თფილისი, დიდი მთავრის ქ., № 70, ვ. კაკაბაძეს. სასურველია შეძლებისამებრ ტერმინებს მიეწეროს ამ ჟამად ხმარებული მათი ეკვივალენტები.

◆ **გორის აღდგენის გარშემო.** სამხედრო სამინისტრომ გორის ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობაზე, რომ მისთვის დანგრეულ ყაზარმების მასალები დაეთმოთ, უპასუხა, რომ ნაწილი იმ ყაზარმათა მასალებისა უკვე ნაყიდი აქვს გორის სამაზრო ერობას, ნაწილი სახალხო გვარდიამ გამოიყენა და უდიდესი ნაწილი კი მიმდინარე ხარჯებისათვის თვით სამხედრო უწყებას სჭირდებაო. ქალაქის თვითმართველობას დაეთმობა რამოდენიმე 100 ათასი აგური, რომლის ფასსაც სამხედრო სამინისტროს ტექნიკური კომისია გამოარკვევს.

◆ **სახალხო გვარდიის შტაბის სამეურნეო მოღვაწეობა.** მთავრობამ ოქტ. 12 სხდომაზე დაადგინა მიანდოს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, რომ მან ერთი თვის განმავლობაში წარმოადგინოს მოხსენება თავის სამეურნეო მოღვაწეობის შესახებ და საოპერაციო წლის დამლევს კი დაწვრილებითი ანგარიში.

◆ **გაზეთების შეწყვეტა.** დღეს უკანასკნელათ იგზავნება ნიგოითში, რადგანაც ფული არ შემოუტანიათ.

◆ **მასწავლებელთა საყურადღებოთ.** კვირას, 24 ოქტომბერს, ქ. თფილისში დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის მასწ. კავშირის **კონფერენცია.** კონფერენციაზე გზავნიან ორ-ორ წარმომადგენელს სამაზრო კავშირების გამგეობები, ხოლო ქალაქები: თფილისი 2 ს (დაბალი სკოლებიდან—1,—საშუალო 1), ქუთაისი—1, ბათომი—1. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ ხელთ მანდატები. კონფერენცია გაიხსნება დილის 12 საათზე. განსახილველია: საკითხი მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობის შესახებ.

◆ **„ერთობა".** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „ერთობის" მორიგი ნომერი.

კრებები.

დღეს საღამოს 7 ს. შესდგება ჩუღურეთის რაიონის (მცირე კოლექტივის) პარტიის წევრთა საერთო კრება.

დღეს, პარასკევს, 22 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქართ. რესპუბლიკის მასწ. კავშირის საბჭოს საგანგებო სხდომა. სთხოვენ საბჭოს წევრებს და კანდიდატებს უთუოდ დაესწრონ კრებას.

უცხოეთი

გერმანია.

ჰილფერდინგის აზრი ბოლშევიკების შესახებ.

12 სექტემბერს ლეიპციგის სახალხო სახლში საქსონიის დამოუკიდებელთა სოციალისტურ პარტიის კრებაზე რუდოლფ ჰილფერდინგმა მოსკოვის ტირანიის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ჰილფერდინგმა, სხვათა შორის, სთქვა: „რუსეთის ყოფა-ქცევა შემდეგით აიხსნება. ბოლშევიკებს ჰსურთ მიიღონ დახმარება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატიდან. ეს დახმარება მათის აზრით, უნდა გამოიხატებოდეს არა იარაღის გადატანაზე უარის განცხადებაში, როგორც ეს ჩვენ მოვიმოქმედეთ, არამედ ანტანტასთან პირდაპირი ომის წარმოებაში. ამიტომ ისინი მოითხოვენ პარტიიდან ეგრეთ წოდებულ მემარჯვენეების გამორიცხვას, რომლებსაც ისინი სთვლიან რევოლიუციის საქმის დამაბრკოლებელ მიზეზათ. გერმანიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ნათლათ გვიჩვენებს იმას, თუ ვინ გვითრევდა ჩვენ ახალ ომში საფრანგეთთან.

ჩვენ მთელი ჩვენი ძალებით ვცდილობთ ხელი შევუშალოთ ყუმბარების პოლონეთში შეტანას; მაგრამ ჩვენ არ უნდა მივცეთ ფრანგებს რაიმე საბაბი გერმანიაში შემოსევისათვის.

სხვაგან სამწუხაროდ, ასე არ ხდება. მარსელში, მაგალ., დიდ კრებაზე გადასწყვიტეს შეერთებოდნენ მე-3 ინტერნაციონალს, მაგრამ იქ არავითარი ზომა არ მიუღიათ რომ არ გაეშვათ პოლონეთისთვის დანიშნულ ყუმბარების ტრანსპორტი. სიმპატიის ასეთი გამოთქმას, ცხადია, ძლიერ ცოტა ღირებულება აქვს (ხმაურება: „სწორეა").

საფრანგეთთან ომი, რომელშიც ჰსურთ ჩაგვითრიონ ჩვენ კომუნისტებმა, მოუტანდა უდიდეს ზიანს არა მხოლოდ გერმანიის, არამედ მთელ ევროპის მუშათა მოძრაობას. საქმეა, საფრანგეთმა დაიკავოს მდინარე მაინის ხაზი; მაშინ სამხრეთ გერმანიის მონარქისტები მოისურვებენ ჩამოშორებას ჩრდილო გერმანიისაგან, რომელიც ბლოკადისაგან დასუსტებულია, თითქმის განიარაღებულია და ამავე დროს სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე სდგას. ასეთი პოლიტიკა იქნებოდა ბოროტი თარიში—„ვა ბანკ". ამიტომ ჩვენ უნდა დავიტოვოთ უფლება თავის პოლიტიკის თვითგამორკვევისა. ჰიპნოზის ბურუსში გახვეულებმა რუსეთს რომ შევყუროთ და მისგან ხსნას გამოველოდოთ,—ეს სრულიადაც არ არის მარქსიზმი.

ინგლისი.

მისს სნოუდენის წიგნი რუსეთის შესახებ. რუსეთში ნამყოფი ინგლისის მუშათა დელეგაციის წევრი მისს სნოუდენი თავის ეხლახან გამოშვებულ წიგნში ადგია იმავე აზრებს, რომლებიც მან გამოსთქვა რუსეთიდან დაბრუნებისთანავე. მისს სნოუდენი ახასიათებს განადგურებულ, სიკვდილის პირას მოხულ რუსეთის მძიმე მდგომარეობას. არ შეიძლება არ შეძრწუნდეს ადამიანი, როდესაც ჰკითხულობს „მომაკვდავ ხალხის" შესახებ. მისს სნოუდენს წიგნის ამ ნაწილში იმდენი ამაღელვებელი სურათები მოჰყავს, რომ ბოლშევიკურ დიქტატურას უნდა დავუძახოთ არა „დიდი", არამედ „ბოროტი" ექსპერიმენტი.

მისს სნოუდენი ლაპარაკობს:

„უნივერსიტეტის პროფესორები მოდიოდნენ სანახავათ ჩემთან ძონძებში ჩაცმულნი, ინგლისელ „ბროდიაგების" მსგავსად. მე ხშირათ დამინახავს ღარიბი ქალები ჩითის კაბებში. ნათლადა სჩანდა, რომ ტანისამოსი ჰფარავს შიშველ ტანს... შურით უყურებდნენ ისინი ჩვენს ფეხსაცმელს და დიდ სიამოვნებას განიცდიდენ, როდესაც ხელს შეახებდნენ ფეხსაცმელების ტყავს.

პეტროგრადი სავსებით მომაკვდავ ქალაქს მიაგაგონებთ. ომამდის იქ $2^1/_2$ მილ. მცხოვრებლები იყვნენ, ეხლა კი 8—900,000. სად წავიდნენ ეს აუარება მცხოვრებნი?—ან ამოსწყდნენ, ან სხვა და სხვა კუთხეებში გაიფანტნენ.

პროპაგანდის შესახებ ქ-ნი სნოუდენი ამბობს, რომ საზღვარგარეთ ჩვენ მეფის მდგომარეობაში ვიყავით. ნამდვილათ კი ჩვენ ყოველგან თან გვახლდა მთავრობის წარმომადგენელი... „ჩვენ დასაცავად კონტრევოლიუციონერებისა და პოლონეთის ჯაშუშებისაგან, რომლებსაც შეიძლება ყუმბარები აღმოაჩნდეთ".

საქმე იმაშია, რომ საბჭოთა მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ მოდიან ინგლისელები, რომლებიც სრულიად ეთანხმებიან მათ იმისათვის, რომ გადასცენ საბჭოთა რუსეთს ინგლისის მუშათა კლასის მისალმება და აღმოუჩინონ დახმარება რუსეთის რევოლიუციონურ მთავრობას"...

ეს მათ მიერ შექმნილი ზღაპარი ბოლშევიკებმა ძალიან მოხერხებულათ გამოიყენეს პროპაგანდისათვის. მისს სნოუდენი პირდაპირ გაკვირვებულია იმ ხერხიანობით, რომლითაც მთავრობა „დელეგაციას განსაკუთრებულათ კარგ მატერიალურ პირობებში აყენებდა იმისათვის, რომ ჩვენს რუსეთში ყოფნას მოეტანა, რაც შეიძლება, მეტი სარგებლობა პროპაგანდისათვის".

პროპაგანდისა და აღზრდის საქმე ფართოდაა დაყენებული. საბჭოთა რუსეთის სკოლებში, ბავშვებს, სულ მცირეწლოვანებსაც კი, ზრდიან კომუნისტურ იდეების ატმოსფერაში. ბავშვებს უნერგავენ განსაზღვრული ტიპის იდეებს და მორალს, და ეს მისს სნოუდენს აფიქრებინებს, რომ ბოლშევიზმის სისტემის დამხობის შემდეგაც კიდევ დიდხანს იქნება საჭირო მისი აღზრდის შედეგებისათვის ანგარიშის გაწევა. ავტორი ჰფიქრობს, რომ არ შეიძლება უარყოფა ბოლშევიკურ პროპაგანდის მსოფლიო საფრთხისა, ან და მისი ჯეროვნათ არ დაფასება. ის ამაში დაარწმუნა მენშევიკების წარმომადგენლებთან საუბარმა; მენშევიკები—ეს ჩუმი მოწმეები არიან თანდათან გაზრდილ განწირულების, ტანჯვის და გაჭირვების, როგორც შედეგების რუსეთის ხალხის გამგებლობის ფანატიკურ სისტემისა. მენშევიკების აზრით ხალხი სწრაფათ მიდის თვითმპყრობელ წესწყობილებისაკენ, რომელსაც ექნება აუცილებელ შედეგათ ხალხის მონურ მდგომარეობაში დაბრუნება. ასეთია ერთი პარადოქსი. თუ კომუნიზმი შემდეგშიაც მოიხმარს გამგებლობის იმავე მეთოდებს, როგორისაც ეხლა,—მაშინ ყველა ქვეყნის ხალხნი დაუბრუნდებიან მონურ მდგომარეობას.

საერთოდ, წიგნიდან სჩანს, რომ რუსეთის ხალხი დატანჯულია, ნელნელა სუსტდება და კვდება...

„მოხსენით ბლოკადა, აჭამეთ დამშეულ ხალხს პური, მიეცით ქვეყანას ზავი"—ასეთია ქ-ნ სნოუდენის ჰუმანიური დასკვნა.

სათბობი მასალის ეკონომია

ა/წ. ოქტომბრის 12 მთავრობამ დაადგინა: 1) მიმდინარე წლის ოქტომბრის 20-დან საათის ისარი გადაიწიოს ერთი საათით წინ.

2) ამავე რიცხვ-დან სასტიკად აიკრძალოს გასართობ ადგილების (კაფე რესტორანები), კლუბები, ბალები თეატრები და სხ. (განათება 11 საათის შემდეგ. 3) ყველა იმ სადგურებს, რომელთაც აქვს ცალკე ქსელი ბინების გასანათებლად, აეკრძალოს იმ ქსელით დენის მიწოდება შუაღამის შემდეგ. 4) სრულიად აიკრძალოს ნავთის მოხმარება ფურნეების ან სახარეულოების გასათბობად. 5) ჯავშნიან მატარებლის ორთქმავლები ჩაქრობილ იქნას და გახურდეს მხოლოდ აუცილებელ საჭიროების დროს. 6) ტფილისის ტრამვაის მოძრაობა არ იქნას შეჩერებული. ტრამვაის მოძრაობის გასაძლიერებლად საჭირო სათბობი მასალის საკითხი გამოარკვიოს გზათა დეპარტამენტმა ქალაქის გამგეობასთან შეთანხმებით. 7) ქვანახშირის ხარჯის შესამცირებლად საორთქმავლო ბრიგადებისა და ძირითად დეპოს პერსონალისათვის შემოღებულ იქმნას განსაკუთრებული პრემია, რომლის რაოდენობა უნდა იყოს მთელი ჯამაგირიდან ნახევარი თვის ჯამაგირამდე მუშაობის ხასიათის მიხედვით. 8) პრემიის ზემოაღნიშნული წესით დასარიგებლად, რკინის გზების სპეციალურ ფონდიდან ყოველთვიურად გადაიდოს და ანგარიშ ქვეშ მიეცეს გზების უფროსს 720.000 მანეთი. (სდს).

ქართველების მიღება გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში

საქართველოში მყოფი გერმანიის დიპლომატ. წარმომადგენლობა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: „ვინაიდან ადგილობრივ პრესაში დაიბეჭდა ზოგიერთი ცნობები, რომლებიც გერმანიის უნივერსიტეტებში უცხოელთა მიღების გაძნელებას ეხებოდა, მე სინამდვილის გამოსარკვევად ამ საკითხის გამო შევეკითხე ბერლინს უცხოელების გერმანიის უნივერსიტეტებში შესვლის შესახებ. მე შემიძლია ახლა შემდეგი განვაცხადო: უცხოელების გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში მიღებას ამ ჟამად დიდი დაბრკოლებები ელობება წინ. მიღება გაძნელებულია თვით გერმანელ სტუდენტების მრავალ რიცხოვანობით, ბინის და სასურსათო კრიზისით, რომელიც უმთავრესად გერმანელ საუნივერსიტეტო ქალაქებში არსებობს. ხშირად, მართლაც მიუხედავათ დირექციის წინასწარ გაფრთხილებისა შეუძლებელი ხდება უცხოელების მიღება. ახალგაზრდები, რომლებმაც შორი და ძნელი მგზავრობა განიცადეს, ხშირად უსარგებლო ხარჯს ეწევიან. ასეთ შემთხვევების თავიდან ასაცილებლად გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში უცხოელთა შესასვლელად შემდეგი წესები არის გამომუშავებული. უცხოელებმა, რომელთაც სურთ გერმანიის სასწავლებლის მიღება, უნდა წარუდგინონ სათანადო თხოვნა თავის სამშობლოში მყოფ გერმანიის წარმომადგენლობას. თხოვნაში უნდა აღინიშნოს სპეციალობა და ის სასწავლებელი, რომელშიაც სურს შევიდეს მთხოვნელს. თხოვნასთან თანდართული უნდა იყოს გერმანულ ენაზე გადათარგმნილი პირადი მოწმობა.

გერმანიის წარმომადგენლობა მოთავსებულია ტფილისში პასკევიჩის ქ., № 14 სახლში. წარმომადგენლობა თხოვნას გზავნის გარეშე საქმეთა სამინისტროში, საიდანაც იგი გადასაწყვეტად სათანადო სასწავლებლის დირექციას გადაეცემა. თუ სტუდენტი მიიღეს, ყველაფერი გაკეთებული იქნება, რათა მან გერმანიაში შესვლის და ცხოვრების ნებართვა მიიღოს. ვინაიდან გერმანიის წარმომადგენლობამ თხოვნაზე თავისი აზრიც უნდა გამოსთქვას, ამიტომ მთხოვნელმა უნდა აცნობოს მას თავისი პიროვნების და გერმანულ ენის ცოდნის შესახებ. პასუხის მიღებამდე მთხოვნელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაემგზავროს გერმანიაში. მეცნიერების, ხელოვნების და განათლების მინისტრი განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობა ქართველ სტუდენტების თხოვნას. რაც შეეხება სწავლის ფულს, სამხრეთ გერმანიის რესპუბლიკაში საქსონიაში, მეკლენბურგ-შვერინში და ჰამბურგში, მართლაც ოქროს ვალიუტით უნდა იქნეს შეტანილი. ეს შეეხება იმ სტუდენტებს, რომელთა სამშობლოშიც გერმანიის ვალიუტასათვის არა ხელსაყრელი პირობებია. სხვა ქვეყნების სტუდენტებს კი, როგორც წინეთ, ახლაც აძლევენ ბევრ ორიმდენს, რამდენსაც გერმანელ სტუდენტებს. იენაში კი ყველა უცხოელი სემესტრში 400 მარკას იხდის. ამ ცნობას ხელს აწერს დოქტორი დრუფელი. ეს განცხადება გამოსაქვეყნებლად გადაეცა საქართველოს გარეშე საქმეთა სამინისტროს. (სდს).

სახალხო გვარდიის ყრილობისათვის

ქ. თფილისში, ოქტომბრის 24-ში

მოწვეულია სახ. გვარდიის მეორე ყრილობა

მთავარი შტაბის მიერ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.
3) მთავარ შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.
4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.
5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში.
6) სახალხო გვარდიის ძირითად კანონის გადასინჯვა.
7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებებში.
8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.
9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა.
10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.
11) მიმდინარე საკითხები.
12) მთავარი შტაბის არჩევნები.

ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს.

ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს.

საინჟინერო გუნდი, ტყვიისმფრქვეველი რაზმი, ჯავშნიანი მატარებელი და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი დელეგატს—თითო.

სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

პასუხად ბ. „მუხრუჯს"

გაზეთ „ახალ კომუნისტის" № 59-ში მოთავსებულია წერილი ბ „მუხრუჯის" ფსევდონიმით — „პროვოკატორი ესე ჯორბენაძე".

კომუნისტებისთვის ახალი საქმე არ არის პროვოკაციის შეთხზვა, ამ საქმეში მათ გამოცდა აქვთ დაჭერილი. მაგრამ ბ. „მუხრუჯი" ვერ ყოფილა კარგი მეჭურე. მთელი ფაქტები მას ტყუია ჰაერში და ამით ჰსურს თავის თანამოაზრენი ერთი შეხედვით მაინც დაიჯეროს შეთხზულის სინამდვილეში. ბ-ნებო, თქვენ წაიკითხავდით „ერთობის" № 213-ში ჩემ მიერ მოთავსებულ საპასუხო წერილს ბ. დ. ჯორბენაძეზე. აი სწორედ ამ წერილმა მოსტეხა წელი ბ. დ. ჯორბენაძეს და მასთან ერთად მის აპეკუნებს და დღეს გლახა მარჩიელივით ჭორებს სთხზავენ ჩემს წინააღმდეგ და მით უმტკიცებენ თავის ამხანაგებს დიმიტრის სისპეტაკეს. მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, მით უმეტეს კომუნისტებმა, რომ დ. ჯორბენაძე გამცემია.

ამას დაფარვა არ შეიძლება, მაგრამ მის უტიფარ დამცველს—„მუხრუჯს" განზრახავს (ცოტათ თუ ბევრათ შემსუბუქება გაჭირვებულ ამხანაგის მდგომარეობისა. აი როგორ იწყებს ბ-ნი „მუხრუჯი" თავის „ნაწარმოებს": არ ღირს პროვოკატორ იესე ჯორბენაძეზე ლაპარაკი და წერა... ის ერთხელ, სამწუხაროდ, მართლაც კომუნისტობდა. აი ფაქტებიც, რომლის მოწამეც თვით ჩვენ ვართ: 1) როდესაც ქ. ბათომში არსებობდა კომუნისტური რაზმი საზღვაო კომიტეტისა,—იესე ჯორბენაძე იმ დროს მსახურობდა ხსენებულ რაზმის კომისრად, როგორც არჩეული პირი —კომუნისტი; 2) როდესაც ქართველი ჯარი, თათრების ოზურგეთიდან გასვლის დროს ამ ქალაქში შედიოდა,—ჯორბენაძე ამ დროს ქალაქის კომენდანტათ ითვლებოდა, რომელმაც წინადადება მისცა გურიის ბოლშევიკურ კომიტეტს: მომეცით ნება, რომ ოზურგეთში ჩემი ჯარის საშუალებით დავამყარო საბჭოთა მთავრობა და შემდეგ აქედან შეუტიო ქუთაისს. ამ წინადადებაზე მაშინ კომიტეტმა რა თქმა უნდა უარი უთხრა, 3) როდესაც სამეგრელოში აჯანყების ჩასაქრობად მენშევიკები მობილიზაციას ახდენდენ... პროვოკატორი ესე ჯორბენაძე ერთ ასეთ რაზმს დახვდა წინ ლანჩხუთის ბაზარში და უთხრა: რას ჩადიხართ, შავო გვარდიელებო. ვის წინააღმდეგ ირაზმებით. ასეთი რჩევის გამო მთავრობის ერთგულმა ელემენტებმა მაშინ ჯორბენაძეს მოკვლაც კი დაუპირეს. ამის შემდეგ ჯორბენაძე გაასამართლა გურიის ტრიბუნალის პირველმა სესიამ და მის დამცველად გამოვიდა ბ. აპოლონ წულაძე. ჯორბენაძე გაასამართლეს, როგორც კომუნისტი, ამის შესახებ არსებობს ოქმები".

დავიწყოთ ეხლა ბ-ნ დ. ჯორბენაძის აპეკუნების მონაჭორავის გარჩევა სიმართლის ასადგენად. ბ-ნი „მუხრუჯი" არ სთვლის ღირსეულად ჩემზედ ბევრ ლაპარაკს და წერას. მაგრამ რა ქნას, გადავარდნილ ამხანაგს ამოთრევა სჭირია; თუ არა მეგობარი,—სხვა ვინ გაუწევს დახმარებას, და სწორედ ამ მეგობრობამ აიძულა „მუხრუჯი" შეთხზა ჩემს წინააღმდეგ ასეთი ჭორები. პირველ თავის „ფაქტში" ბ-ნი „მუხრუჯი" ბრალს მდებს, ვითომც მე რაღაც კომუნისტურ რაზმის უფროსად ვყოფილიყო. რაც გადატრიალება მოხდა, ბევრი რაზმის უფროსი ვყოფილვარ. რევოლიუციის პირველ ხანებში, ვინც ჯარში კი ყოფილა,—ყველას ეცოდინება, რომ გუნდები თავის უფროსებს არჩევდენ. მეც ბევრგან ვყოფილვარ ასე არჩეული. რაკი ამირჩიეს,—მაშ კომუნისტი ვყოფილვარ? რაც შეეხება კომუნისტურ რაზმის არსებობას,—ეს არ ყოფილა. არსებობდა ზღვის ნაპირის დამცველი რაზმი, რომელშიაც ჯარისკაცებად სულ ჩვენი სოფლელები იყვნენ. იგინი არავითარ პარტიას არ ეკუთვნოდენ. მე იმ დროს ახალი ჩამოსული ვიყავი სპარსეთიდან. ჩავედი ბათომში. იქ შემხვდა ჩემი სოფლელები და მითხრეს: „ჩვენ ზღვის ნაპირს ვყარაულობთ, აფიცერი არ გვყავს და აგირჩევთო". მართლაც მოუხდენათ არჩევნები, და ამირჩიეს. როდესაც ხელმეორეთ შემხვდნენ, მითხრეს „აგირჩიეთო" და წამიყვანეს იქ. იქ მე დამიხვდნენ ვილაც მეზღვაურები; ხელმძღვანელობა ვილაც ერთი კაპიტანი, რომელზედაც გაიძახოდნენ: ეს დიდი მონარქისტიაო, მაგრამ იქ ყავდათ მაინც. მე იმას ვკითხე პირობები. მაგრამ ხელსაყრელი არ იყო. სხვათა შორის, მითხრა: „молодой человек, я вам не советую поступат в эту роту, они не хорошо ведут себя, там много разбойников".

. ეს კაცი ეხლა თფილისშია. მე ამის შემდეგ წავედი სახლში, რამაც ცოტა ლაპარაკი გამოიწვია ამრჩევლებში; ჯორბენაძე შეშინდა და გაიპარაო. ასე იყო მთელი საქმე. არ ვიცი, რაშია ჩემი დანაშაული,—იმაში, რომ მე იქ არ მოვიყვანე და არ დავიწყე ძარცვა გლეჯა?!

2-რე ბრალდება ის არის, ვითომც მე ოზურგეთში კომენდანტობის დროს მიმეწეროს გურიის კომუნისტურ პარტიისთვის, რომ მას ნება მოეცა ოზურგეთში საბჭოთა მთავრობა დამეარსებია და მერმე ქუთაისზე შემეტია. კარგი, რომ კომიტეტს უარი უთქვამს, თორემ მე ქუთაისს ავიღებდი 12 ჯარისკაცით. მართალია, მე კომენდანტათ ვიყავი ოზურგეთიდან თათრების გასვლის შემდეგ; ჩემს განკარგულებაში იყო 12 ჯარისკაცი. გარნიზონის უფროსი კი პოლკოვნიკი იწკარველი იყო. არავითარი კომუნისტური კომიტეტი მე იქ არ ვიცი იმ დროს. აბა დაასახელოს ბ. „მუხრუჯმა" კომიტეტის შემადგენლობა. ან ვის ვუთხარი ეს?

მესამე ფაქტიც, როგორც ორი პირველი, ნამდვილი „კომუნისტური" ჭკუის ნაყოფია. საქმე შემდეგში იყო: 1918 წ. 15 იანვარს მე ლანჩხუთში დავითვერი და გავისროლე რევოლვერი. კომისრად ზ. ჯორბენაძე იყო და მან დამატუსაღა. ტრიბუნალმა გამასამართლა, როგორც წესიერების დამრღვევი და არა როგორც კომუნისტი. ტრიბუნალის წევრები იყვნენ: 1) ბეჟან ხუნდაძე, 2) მიხო საბაშვილი, 3) იოკიმე უშვერიძე და სხვა. მიცავდა აპ. წულაძე. ამის შემდეგ ვიყავ მილიციის უფროსად, შემდეგ ფრონტებზე—ბათომში, ოზურგეთში, სომხეთში და სხვაგან. ამის შემდეგ თვით მკითხველ საზოგადოებამ განსაჯოს, ვინ არის პროვოკატორი და ვინ არა.

შტაბის წევრი **იესე ჯორბენაძე.**

ქართველები პოლონეთში

წინეთ პოლონეთი გზა იყო ავსტრიიდან და გერმანიიდან მომავალ ქართველ ტყვეებისა: ტყვეები პოლონეთიდან უკრაინაში ამოდიოდენ და აქედან შავი ზღვით საქართველოში ბრუნდებოდნენ. 1919 წ. დასაწყისში, როდესაც უკრაინა „ბოლშევიკებმა" დაიკავეს, შემცირდა ტყვეების ამ გზით დაბრუნება და ამ ბოლო დროს ეს სულ შეუძლებელი შეიქნა; პოლონეთში კი შემოდიოდნენ ჩარჩენილი ტყვეები, მაგრამ მომეტებულად საქართველოს მოქალაქენი რუსეთიდან და უკრაინიდან გარბოდნენ პოლონეთში, რომ თავი დაეღწიათ ბოლშევიკებისთვის. პოლონეთის ხალხი და მისი მთავრობა საქართველოს მოქალაქეთ დიდის სიმპატიით ეპყრობა და ყოველგვარ დახმარებას უწევდა და უწევს, მაგრამ ქართველებს პოლონეთში გაჩერება არ შეეძლოთ, რადგანაც სამსახურში ვერ შედიან ენის უცოდინარობის გამო.

პოლონეთში საჭირო შეიქნა საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა და მათ შესახებ ზრუნვა.

ამ მიზნით მიმდინარე წლის მარტში პოლონეთში ს. ყურულიშვილის თაოსნობით შესდგა ქართული კომიტეტი. კომიტეტს მიზნათ ჰქონდა დასახული საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნება საქართველოში, აგრეთვე დაარსება პოლონეთში ქართულ-პოლონური კლუბისა, რომლის საშუალებით დაუახლოვდებოდა საქართველო პოლონეთს და გაიცნობდენ ერთმანეთს.

პოლონეთის შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა ქართულ კომიტეტის დაარსებას დიდის ყურადღებით მოეპყრნენ და ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინეს. აგრეთვე კომიტეტს დაავალეს ქართველ მოქალაქეთა პასპორტების მიცემა. კომიტეტმა დღემდის მოახერხა ქართველების მოგროვება, გაჭირვებულთათვის მცირე ნივთიერი დახმარების მიცემა. დაარსა ქართულ-პოლონური" კლუბი და სხვ. მაგრამ „კომიტეტი ვერ გაამართლებს თავის დანიშნულებას, რადგანაც კომიტეტის წევრები შემთხვევითი პირები არიან, კომიტეტი თვითონ მოწყობილი. კომიტეტს არ აქვს საქართველოს დირექტივები და ის გარემოება, რომ კომიტეტის სახელით პასპორტებს არიგებენ ვარშავაში,—დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან შესაძლებელია ბევრი შეცდომებს და გაუგებრობას ექნეს ადგილი. დაველაპარაკოთ, თუ გნებავთ, შემდეგი მაგალითი.

ამ კომიტეტის მოხებით და პოლონეთის მთავრობის დახმარებით ცხრამეტი ქართველი მოქალაქე გამოვედით ვარშავიდან წარსულ აგვისტოს თერთმეტში. რადგან რუმინიის მთავრობამ არ გამოგვიშვა თავის ტერიტორიაზე, ჩვენ მოგვიხდა იტალიით და ორმოცი დღის გზაში წვალების შემდეგ—თვრამეტ სექტემბერს ჩამოვედით ბათომში. ეს არ იქნებოდა, რომ გადეგზავნეს საქმე მოწესრიგებული ყოფილიყო.

ვარშავა ჩვენი გამოსვლის დროს სავსე იყო ყოველგვარი საქონელით, სურსათით; სიძვირე არ იყო საგრძნობი.

პოლონეთს დიდ დახმარებას უწევდა ამერიკა სურსათით და საფრანგეთი საომარი მასალით. ამერიკის მიერ მოტანილი თეთრი პურის განსაზღვრული ულუფა ეძლეოდა არა მარტო მუშა მოსამსახურეთ, არამედ ყველა მოქალაქეებსაც.

აგრონომი იპ. ანთაძე.

კახეთის რკინის გზის გარშემო

პრესის საშუალებით ამა თუ იმ დაწესებულების უარყოფითი მხარის აღნიშვნა და საზოგადოების ყურადღების მიქცევით მასთან ბრძოლა სასურველი და ერთობ ნაყოფიერია. მაგრამ, როდესაც გაზეთის რომელიმე წერილის ავტორი ამა თუ იმ მოვლენის დაფასებაში ხელმძღვანელობს მხოლოდ ზერელე შთაბეჭდილებით, მის წერილებს, რამდენადაც ეს შეეხება საზოგადოებრივ მნიშვნელობის მოვლენებს, არავითარი დადებითი შედეგის მოცემა არ შეუძლია.

როგორც გაუგებრობაზე აშენებულ ერთ ერთ წერილს, ჩვენ მოვიყვანთ გაზ. „ერთობის" 219 ნომერში მოთავსებულ ბ. მეტრეველის წერილს კახეთის რკ. გზის შესახებ. ბ. მეტრეველი თავის წერილში აღნიშნავს ასეთ შემთხვევას: გურჯაანში სადგურის მილიციონერმა იპოლიტე სტურუამ საბარგო ვაგონის დატვირთვის დროს აშკარა ბოროტებაში შენიშნა ერთ ერთი სპეკულიანტი და შეაჩერა რამდენიმე ფუთი ფქვილი. ამისათვის, განაგრძობს ბ. მეტრეველი, შეურაცხყოფა მიაყენა ბ. რკ. გზის მმართველმა გვერდწითელმა აღნიშნულ მილიციონერს და ჩამორთმეული ფქვილი დაუბრუნა პატრონს, თუმცა თვით ბ. მმართველიც დარწმუნებული იყო, თუ რა მიზეზით დააკავა მილიციონერმა ეს ფქვილიო. შემდეგ ბ. მეტრეველი გადადის მილიციონერ სტურუას დახასიათებაზე და ამბობს: „ჩემის აზრით, მილიციონერი სტურუა პირიქით, მადლობის ღირსია ამ ერთგულ სამსახურისათვის; მას, როგორც მე ვუკვირდებოდი, გურჯაანის სადგურზე არა ერთხელ ჩამოურთმევია სპეკულიანტებისათვის პურის ხორბალიო" და სხვა...

შეიძლებოდა, რასაკვირველია, ბ. მეტრეველს შეეცვალა თავისი აზრი მილიციონერ სტურუას პატიოსნებაზე, რომ მიექცია ყურადღება თუნდ იმ „უმნიშვნელო" გარემოებისათვის, რომ მილიციონერმა სტურუამ დააკავა ფქვილი სწორედ ვაგონში დატვირთვის დროს.

საყურადღებოა ის, რომ მილიციას პირველად ყოვლისა არა აქვს უფლება „დააკავოს" ესა თუ ის ტვირთი განსაკუთრებულ შემთხვევების გარდა. მაგრამ არც ესაა აქ დამახასიათებელი. ნუ თუ ბ. მეტრეველი უნებურად მაინც ვერ გაიფიქრებდა იმას, თუ რაღა ვაგონის დატვირთვის დროს მოუნდა მილიციონერს ფქვილის დაკავება! ამის დრო და შემთხვევაც უფრო კარგი აქვს მილიციონერს, თუ სხვას, ვისაც ეს ეხება, რომ ბარგის აწონამდე, ჩაბარებამდე, საბუთების ამოწერამდე გადასწყვიტოს ეს საკითხი. თუ აქ წინასწარ გაუგებრობას უნდა ჰქონოდა ადგილი?! დავანებოთ ამ „თუ"-ს თავი და ვაცნობოთ ბ. მეტრეველს ნამდვილი მხარე საქმისა:

ამ დღეებში დამთავრდა კახეთის რკ. გზის მოძრაობის უფროსის მიერ დანიშნული გამოძიება მილიციონერ სტურუას მოქმედების შესახებ.

საგანგებო კომისიამ გზის ადმინისტრაციის, პროფესიონალურ კავშირის და თვით მილიციის წარმომადგენელთა მონაწილეობით აშკარათ დაამტკიცა, რომ „მილიციონერ სტურუას გამგზავნთათვის ურთმევია თავის სასარგებლოთ ხორბალი". კომისია თავის გამოძიებაში აღნიშნავს შემდეგსაც: „მილიციონერი სტურუა დამნაშავეა კიდევ იმაში, რომ მას არა სცოდნია ან არა ნდომებია სცოდნოდა, რომ სადგურზე ნაპოვნი ყველა საქონელი ებარება სადგურის უფროსს და პასუხისმგებელია მხოლოდ სადგურის უფროსი და არა სხვა".

გამოძიების მასალების გაცნობისას მოძრაობის უფროსი თავის დასკვნაში სწერს: „დაუშვებელ მოქმედებებში დამნაშავე მილიციელ სტურუას სრულიად არ უნდა ჰქონდეს ადგილი მილიციაში და კერძოდ რკინის გზაზე"-ო.

ამის შემდეგ მაინც, ვგონებთ, ბ. მეტრეველი მიხვდება, თუ ვინ უწევს მფარველობა - დახმარებას სპეკულიანტებს და მათ მსგავსს.

სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს ის მეტად მავნე და პირდაპირ დაუშვებელი მოვლენა, რომ ხშირად თვით რკ. გზის მილიციელები არამც თუ ხელს უწყობენ ბევრ ბოროტ-მოქმედებას, არამედ თვითონ ჰქმნიან ბევრ უწესოებას რკინის გზებზე. და როდესაც ამის შემდეგ მილიციონერ სტურუას და მის მსგავსთ გამოესარჩლება ბ. მეტრეველი თუ სხვა, ამას, ზიანის გარდა, არავითარი დადებითი შედეგი არ ექნება.

გვერდწითელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 19 ოქტომბერს შესდგა საქ. ს.-დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო 11 წევრი. მოისმინეს კითხვები: პარტიული სკოლა, ამხ. გვარჯალაძის მოხსენებების მოწყობა, ეკონომიური თათბირი, ზოგიერთ ამხ. მიერ პარტიულ მოვალეობის არ შესრულება.

პარტიული სკოლა. პარტიულ სკოლების პრაქტიკულ განხორციელებას უკვე შეუდგენ ზოგიერთი რაიონები.

საჭიროა ყველგან გატარდეს მისი განხორციელება მით უმეტეს, რომ ამ საქმისათვის განსაკუთრებით დანიშნულნი არიან ზოგიერთი ჩვენი მოწინავე ამხანაგები. ამხ. ანანია სალუქვაძე აკეთებს მოხსენებას, რომ გვარდიის კულტურულ განმანათლებელმა სექციამ უკვე მოაწყო ასეთი სკოლები, სადაც სისტემატიურათ დაწყებულია ლექციების კითხვა.

არსებობს აგრეთვე წმინდა სამეცნიერო წრეც. მაგრამ იქ მუშები არ შედიან. ჩვენი პირველი მიზანია შევადგინოთ მუშათა წრეები და ამას ვახმართ მთელ ჩვენს ძალას. ჩვენი სურვილია მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ ყველა თფილისის მუშების ორგანიზაციასთან და რაც შეიძლება მეტი მსმენელი მოვიკრიბოთ ჩვენს ირგვლივ. ამიტომ ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით მივეგებებით იმ ორგანიზაციებს, რომლებიც კი მოისურვებენ ასეთ სკოლებში სიარულს.

დაადგინეს: მიეცეს რაიონებს წინადადება შეუდგნენ პარტიულ სკოლების გახსნის პრაქტიკულათ განხორციელებას; თფილისის კომიტეტის პრეზიდიუმმა იქონიოს კავშირი გვარდიის კულტურულ განმანათლებელ სექციასთან და გამოიმუშაონ საერთო პროგრამა და მოქმედების გეგმა, რათა რაიონებმა აწარმოვონ ერთიანი მუშაობა კულტურულ-განმანათლებელ სექციასთან.

გვარჯალაძის მოხსენებები. მიეცეს წინადადება ყველა რაიონებს მოაწყონ ამხ. გვარჯალაძის მოხსენებები, რომელიც წაიკითხავს სხვადასხვა თემაზე ევროპის მუშათა ცხოვრებიდან.

ეკონომიური თათბირი. თფილისის კომიტეტის მხრივ ეკონომიურ თათბირს დაესწროს ამხ. ილ. გიორგაძე.

პარტიის წევრების მიერ მოვალეობის არ ასრულება. თფილისის კომიტეტი ადგენს, რომ ის ამხანაგები, რომლებსაც დღემდე არ აუღიათ პარტიული ბარათი და აგრეთვე სამ თვის განმავლობაში არ გადაუხდიათ საწევრო გადასახადი, თუ მოკლე ხნის განმავლობაში ისინი არ შეასრულებენ თავიანთ პარტიულ მოვალეობას, გარიცხული იქნებიან პარტიიდან იმისდა მიუხედავათ, თუ ვინ იქნება ის: მოწინავე ამხ. თუ უბრალო მუშა. გარიცხულ პირებს აგრეთვე არ დაუშვებენ არც ერთ პარტიულ სხდომაზე.

X.

ხევის თემი. ოქტომბრის 10 ს შესდგა ხევის თემის რაიონული პარტიის წევრთა კრება (ს. ს. დ. მ. პ.). კრებას დაესწრო წევრთა დიდი უმრავლესობა. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. პლატონ ანთიძე, მდივნად ა. მამალაძე. კრება კანონიერათ იქნა აღიარებული. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კოლექტივის პრეზიდიუმისა, 2) კოლექტივის წევრების არჩევნები, 3) იესე ჩანტლაძის მიღება წევრად.

პირველად მოხსენება გააკეთა კოლექტივის სახელით აკ. მამალაძემ. მან განაცხადა, რომ ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, მაგრამ ჩვენ, რაც გვევალებოდა, ყველაფრის გაკეთება ვერ შევსძელით, როგორც ახალ გამოყოფილ თემმა. კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა კრებამ ხევის თემის რაიონული კოლექტივის მოხსენება მის ათი თვის მოქმედებაზე, კრება კმაყოფილია, მადლობას უცხადებს კოლექტივის შემადგენლობას და გადადის მორიგ კითხვაზე.

მეორე კითხვის შესახებ გადაწყდა კოლექტივი შესდგებოდეს ცხრა წევრისაგან. არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: 1) კოწია ანთიძე, 2) რაფიელ რამიშვილი, 3) ეროდე უჯმაჯურიძე, 4) მელიტონ მამალაძე, 5) აკაკი მამალაძე, 6) ხარიტონ ჟღენტი, 7) კლიმენტი ქირიაძე, 8) მიხაკო ჯინჭარაძე და 9) ილარიონ ზებ. მამალაძე.

მესამე კითხვის შესახებ კრებამ იმსჯელა და დაადგინა: ჩანტლაძე, როგორც ძველი მომუშავე და იდეური მუშაკი (რადგან მან დაგმო ყოველივე მის მიერ გადადგმული შემცდარი ნაბიჯები, საჯაროდ ზურგი აქცია კომუნისტურ პარტიას და გულახდილად დაუბრუნდა ძველ კერას, (ს. ს. დ. მ. პ.), მიღებულ იქნეს სრულ უფლებიან წევრად ხევის ორგანიზაციაში თანახმად მისის თხოვნისა.

ნოე ხეველი.

ხოფ. იანეული. (ოზურგეთის მაზრა) ჯერ კიდევ შავი რეაქციის დროს ამ სოფელში გაჩაღებული იყო პარტიული მუშაობა. მრავალი მუშა გლეხი მუშაობით დაქანცული მთელი ღამეობით ხის ძირში ათენებდა პარტიულ კრებებზე. შემდეგ პარტიული მუშაობა უფრო თამამად სწარმოებდა, რადგანაც არავითარი შიში არ იყო.

დღეს ადგილობრივ „იაჩეიკაში" მოწინავე ამხანაგების დღე და ღამე მოუსვენარ მუშაობის წყალობით პარტიული მუშაობა შესამჩნევად მიმდინარეობს. ყოველ კვირაში იმართება პარტიული კრებები, რომელზედაც სწყვეტენ ადგილობრივ საპირბოროტო საკითხებს, აგრეთვე თვეში ორჯერ სწარმოებს მეცადინეობა, სადაც იკითხება თანამედროვე მომენტზე რეფერატები და სხვა და სხვა ბროშიურები. აქვე არის დაარსებული უფასო საღამოს კურსები იმ პირთათვის, რომლებმაც არ იციან წერა კითხვა.

სტუდენტი.

მუშათა შორის

ვაგრა. (ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცხოვრებიდან). არა მგონია სადმე ჩვენი დარგის მოსამსახურეები ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყვნენ, როგორც ჩვენა ვართ.

იმ დროს, როდესაც ყველა ჩვენი ამხანაგები ღებულობენ ცოტათ თუ ბევრად დახმარებას სანოვაგის სახით მომარაგების სამინისტროდან, ჩვენ ამას მოკლებულნი ვართ. 35 მოსამსახურეთაგან დავრჩით მხოლოდ 22. მათგან 10 ავათმყოფია ციებ-ცხელებით, რაც აქ ბუნებრივი მოვლენაა. ასე რომ, ჯანსაღი მხოლოდ 12 დარჩა და ისინიც დანარჩენის მდგომარეობას მოელიან. შვებულებას თუ თითონ ცხოვრება მოგვცემს, თორემ მეტი არავინ. სამ მუდმივ მომქმედ მანქანაზე მხოლოთ ხუთი მორიგე მუშაობს. ასე რომ, სულ კანტორაში გვიხდება ყოფნა. საჭიროა დროზე მიაქციონ ყურადღება ასეთ მდგომარეობას.

ციხცხ.

ქუთაისის მუშათა კლუბი „ინტერნაციონალი". ქუთაისის მუშათა კლუბი „ინტერნაციონალი" გაიხსნა 1919 წ. 1 მაისს.

უნდა აღინიშნოს, რომ კლუბს ნივთიერ საშუალებათა გაძლიერებაში და მისს გახსნის დაჩქარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ჯერ ამიერ კავკასიის და შემდეგ საქ. ცენ. კოოპ. კავშირს, რომლებმაც თავის ყრილობებზე გადასდვეს რამოდენიმე ათასი მან.

დღეს კლუბი მოთავსებულია მშვენიერ ბინაზე. მას გარშემო ამავე ბინაზე მოთავსებულია ცენტრალური საბჭო კავშირებისა, ყველა მუშათა კავშირები, და ორგანიზაციები. ერთი სიტყვით, ეს შენობა ნამდვილი მუშათა სასახლეა და, როგორც გავიგეთ, შრომის სამინისტროს აღუძრავს შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ამ შენობის შესყიდვით და მუშათა ორგანიზაციებისათვის გადაცემით. რაც ჩქარა მოხდება ეს შესყიდვა, მით უფრო აუცილებელია, რადგან ამით ჩვენი დემოკრატიული მთავრობა დიდს სამსახურს გაუწევს არა მარტო ქუთ. მუშათა კლასს, არამედ მთელს დემოკრატიას.

როგორც ვთქვით, კლუბი გაიხსნა 1919 წელს. რადგანაც პატრონი კლუბისა ცენტრალური საბჭო იყო, გაიმართა კამათი იმის შესახებ,—კლუბი ცენტრალური საბჭოს ხელში ყოფილიყო, თუ შემუშავებულიყო შესაფერი წესდება და დამოუკიდებელი გამგეობა ჰყოლოდა. დიდი კამათისა და მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ კლუბის ხელმძღვანელათ ცენტრალურ საბჭოს ეარჩია საკლუბო კომისია; ასეც მოხდა, არჩეული იქნა საკლუბო კომისია, რომელსაც დაევალა წარმოდგენების გამართვა ლექციების სალიტერატურო საღამოების და საბავშო გასართობების მოწყობა და სხ. ერთი სიტყვით პროგრამა ვრცელი იყო და საკლუბო კომისიაც დაიყო შესაფერ სექციებათ, მაგრამ სამწუხაროთ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოთ ერთ-ერთმა სექციამ—ხელოვნებისამ გამოიჩინა საქმიანობის უნარი და სხვა.

ამ სექციამ შესძლო წარმოდგენების სისტემატიურათ მართვა, მოიწვია რამოდენჯერმე რეჟისორი, შეადგინა მუშებისაგან სცენის მოყვარეთა დასი, და ამრიგათ მუშაობა გააჩაღა, უნდა ითქვას, რომ ამ სცენის მოყვარეებში ბევრმა დიდი ნიჭი გამოიჩინა ზოგი, ისეთებიც არიან, რომ თავის როლებში ზოგიერთ პროფესიონალურ მსახიობებს არ ჩამოუვარდებიან. ამ მხრითაც ერთნაირ ღვაწლი გაუწია მუშათა კლუბმა მუშებს. ის მუშები, რომლებიც შეიძლება სხვა დროს ასე ვერ დაახლოვებოდენ სცენას, დღეს თვით თამაშობენ და მოსალოდნელია მათი ნიჭის ზრდა, თუ კი ენერგიას გამოიჩენენ. ამრიგათ თუ ენერგიულათ იმუშავებენ კარგი ხელმძღვანელის საშუალებით მოსალოდნელია ჩვენს კლუბს ახლო მომავალში ეყოლოს საკუთარი დასი ისეთ პირებისაგან, რომლებიც თავისუფლათ ითამაშებენ ისეთ პიესებს, რომელიც დღეს დღეობით თავიანთი ძალებით ვერ დაუძლევიათ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქართველური სენი—დანიშნულ დროზე არ მოსვლა და დაგვიანება, ვერც ამათ აუცილებიათ, რაც როგორც რეპეტიციებს, ისე პიესის ადრე გათავებას ხელს უშლის, სენი რომ თავიდან აცდენილ იქნას,—სცენის მოყვარენი ამით ბევრს რამეს გააკეთებენ.

ი. ნატაშვილი.

პროვინცია

ტობანიერის თემი. (ქუთ. მაზრა). თემის საერობო გამგეობა წარმოიშვა თემის ნგრევის პროცესის ხანაში. როგორც თვითონ თემი, ისე მისი გამგეობაც მეტად გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა. რა უფლებები ქონდა თემის საბჭოს ან მის გამგეობას, რა გაეკეთებია უწინარეს ყოვლისა,—გამოურკვეველი იყო ყველაზე მტკივანი ადგილი თემში ეჭირა სკოლებს, შემდეგ უექიმობას, გზებს და სხვა. აბა წარმოიდგინეთ რა საშუალებით აკეთოს ყველა ეს დიადი საქმეები თემის საბჭომ და მისმა აღმასრულებელმა ორგანომ? აი აქ დაიბადა ის გაუგებრობანი, რომ თემის გამგეობა ზოგიერთ შემთხვევებში თავის გამოურკვეველ უფლებებს უნებლიეთ აჭარბებდა. რა გააკეთა ასეთ პირობებში თემის გამგეობამ: 1) შექმნა ცოტაოდენი ფონდი სათემო გადასახადების შემოღების საშუალებით. 2) შეჯერებით სხვა თემებთან მოაგვარა სასურველად სკოლების საქმე. 3) გახსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. 4) მოიყვანა ქ. სამტრედიამდე ტელეფონის ქსელი, 5) მოაწყო საექიმო პუნქტი. 6) ააგო სახალხო სახლი სათეატრო სცენის მოწყობით. 7) შეძლების და გვარად შეაკეთა გზები. 8) შეიძინა ცეცხლის საქრობი მანქანა. 9) ხელი შეუწყო კოოპერაციის განვითარებას.

აი დაახლოვებით ის, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში გააკეთა უფულო საბჭომ და მისმა გამგეობამ, უნდა სიმართლე ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში სამაზრო ერობიდან, გარდა მასწავლებლების ჯამაგირისა და საერობო ექიმის დანიშვნისა, არავითარი დახმარება თემს არ მიუღია. თემის ეკონომიური პირობები ძალიან ცუდია. მიმდინარე წელს თემმა განიცადა საშინელი სიმშილი წარსული წლის მოუსავლობის გამო. ვაჭრობა მრეწველობა ძალზე დაცემულია. ხალხს დამზადებული ნედლი მასალა ვერ გააქვს ბაზარზე უგზოობის გამო. ბუნებრივი სიმდიდრე საკმაოა. არსებობს ქარხანა კერძო პირის საკუთრება: სახერხავი, ბამბის საჩეჩი, ხალიჩის, პარკის სახარშავი და სახვევი, ძაფის საღები და საქსოვი, წისქვილები, მაგრამ სამწუხაროთ ყველა ეს გადაქცეულია სპეკულიაციის ბუდეთ.

ს. ხულაბერიძე.

უხუთის თემი (ქუთ. მაზრა). ეს თემი კულტურულათ ძლიერ ჩამორჩენილია შედარებით სხვა თემებთან იმიტომ, რომ აქ არ არის კარგი გზა, რაც ძლიერ ხელს უშლის კულტურულათ წინსვლას. აქ არსებობს 6 დაბალი, ე. ი. პირველ დაწყებითი სასწავლებელი და წელს კი დაარსდა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელიც, სადაც სწავლა უკვე დაწყებულია და რის დაარსებასაც აქაური მცხოვრებლები დიდი სიხარულით და [illegible] შეხვდნენ, რადგანაც მათ საშუალება მიეცემათ ახლა მაინც გამოზარდონ სასწავლებელში თავიანთი შვილები. აქ არ არსებობს სამკითხველო, რომელიც ძლიერ საჭიროა და იმედია ადგილობრივი ორგანიზაცია მიიღებს ზომებს და ფრიად საჭირო დაწესებულებას დროზე გახსნის.

ბარნაბა ხურციძე.

კოხნარის თემი (გურია). ეს თემი შესდგება ოთხი სოფლისაგან, წიფნარა, ბურნათი, კოხნარა და ნაკადული. თუ გურიაში სისტემატიურათ გრძელდება თემების დანაწილება პატარ-პატარა ერთეულებათ, კოხნარმა ამ მხრივ თავი შეიკავა და მოზრდილ თემად ითვლება.

აქ არსებულ ორ დაწყებით სასწავლებლებს კიდევ მიემატა ერთი. სამაზრო ერობამ ა. წლიდან გახსნა წიფნარაზე მესამე სასწავლებელი, სადაც სწავლა უკვე დაიწყო. არის მეცადინეობა უმაღლესი ტიპის სკოლის გახსნაზე. განზრახულია სამეურნეო ტიპის სკოლის დაარსება, რისთვისაც უკვე შეიძინეს მიწა ვარლამ ერისთავისა, ზომით ორ ქცევამდე. ამნაირად გადადგმულია პირველი ნაბიჯი განზრახული საქმის მოსაგვარებლად. ხოლო საჭიროა სამაზრო ერობის ყურადღება, რომ შრომამ შესაფერისი ნაყოფი გამოიღოს.

აქ არსებობს აგრეთვე საფერშლო პუნქტი, რომელსაც სათავეში უდგა გამოცდილი ფერშალი. ხმები დადის—ფერშალი გადაყავთ და პუნქტსაც ხურავენო. თუ ეს ხმები გამართლდა, ხალხში დიდ უკმაყოფილებას გამოიწვევს.

წ—ლი.

საგამომძიებლო კომისიის დადგენილება

1920 წ. 20 ოქტომბერს შესდგა საგამომძიებლო კომისია მთავარ შტაბის წარმომადგენელ თ. შენგელაიას თავმჯდომარეობით ავლაბრის შტაბის თავმჯდომარის ამხ. ვაშაკიძის და ამხ. ლორიას შორის მომხდარ უთანხმოების გამოსარკვევათ. კომისიაში შედიოდენ: ავლაბრის სახ. გვ. შტაბის წარმომადგენელი ი. ბარამაშვილი, მე-3-ე რაიონულ კოლექტივიდან—ს. მურვანიძე და მე-7 დე რაიონული კოლექტივიდან—სარჯველაძე და ხაბეიშვილი. „კომისიამ, მოისმინა რა ურთი-ერთშორის წამოყენებული ბრალდებები, ამხ. ვაშაკიძესა და ამხ. ლორიას მიერ,—რომელსაც ადგილი ქონდა 1918 წელს შტაბში თანამშრომლობის დროს, გაეცნო მოწმეების ჩვენებას და მასალებს,—აღიარებს, რომ ამ ორ ამხანაგთა შორის უთანხმოება აგებულია მხოლოდ გაუგებრობაზე, რასაც ხშირად ქონდა ადგილი რევოლიუციის ქარტეხილის დროს. სპობს რა კომისია ყოველივე საქმეს ამის გარშემო, მოუწოდებს ამხანაგებს დღევანდელ საპასუხისმგებლო დროს ჩაებან და განაგრძონ ორგანიზაციული მუშაობა".

კომისიის თავმჯდომარე თ. შენგელია.
მდივანი: პავ. სარჯველაძე.
წევრები ი. ბარამაშვილი, სამსონ მურვანიძე, მოსე ხაბეიშვილი.

ცნობები

ერთი თვეა, რაც თფილისის სახელოსნო სასწავლებლის მოწაფე გრიგოლ დავითის ძე გივიშვილი დაიკარგა და თუ ვინმემ რამე იცის, მაცნობოს შემდეგი მისამართით: ავლაბარი, პეტროპავლეს ქ., № 4. სოფიო გივიშვილისას.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მაჩაიძის ბინა. (3333 10—7)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი—ქიმიოთერაპია, სეროთერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისის (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი 14—60. (18—ოქტ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 74 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—5 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 12, სოლოლაკი.

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. ტურიაშვილი
იღებს სამეანო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ა. გ. ვართაპეტოვი
სპეციალურად კანისა [illegible] ლება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. ქალები 2—3 ს. საღ. 5—7 საათ. [illegible] რამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნორდ" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი **გ. ა. შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალები 4—5 ½ კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: ოლღის ქ. № 33. (21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. [illegible] მიღება დილით 9—12 (საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლევების ავადმყ.), რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. პალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზიმელის ბუფეტთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი ჰიპნოზი. მიღება: დილის 10 ½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 ½ საათ. მიხეილის საავათმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16 ნოემ.).

სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
თ. მ. ფილოიანისა
ორთავე სქესისათვის, (თფილისი, მიხეილის პრ. № 24. ტელ. № 976), თხოვნების მიღება დილ. 10—12 საათამდე, საღ. 5—7 საათ. იხსნება ქართული განყოფილება. (3418 2—1)

მე-6-ს ქვეითთა ათასეულისათვის ქ. თელავში
საჭიროა
საქმის მწარმოებელი, იარაღის საწყობის გამგე და რემინგტონზე მომუშავე. სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. პირობების გაგება შეიძლება თფილისში, ელისაბედის ქ. № 139. კაპ. ზენდელიანთან, დილის 3—5 საათ. (3414 1—1)

„ინტელიგენტ ქალთა ჯგუფი"
რომელიც იღებს ყოველგვარ საკერავს და ასწავლის
ჭრა-კერვას
ქარგვას და სხვა და სხვა ხელსაქმეებს ხელმისაწვდომ ფასებში. აგრძელებს მოწაფეების მიღებას. მისამართი—ვერის დაღმართი № 3, ბინა 9. (3339 5—3)

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება
ამით აცხადებს, რომ 1920 წ. 4 ნოემბერს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით ხელმეორეთ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თფილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებითი ცნობები მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში, ბარიატინის ქუჩა № 10 დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის. (ნ. 3—2)

[illegible]